

ხელისუფლება და საზოგადოება №1(45)2018, ტომი I




სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება  
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)”


*Scientific magazine*  
**AUTHORITY AND SOCIETY**

(History, Theory, Practice”)

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО  
(История, Теория, Практика)”



**№ 1 (45) 2018, ტომი I**




**ISSN 1512-374X**

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

**UDC 378(479.22)(051.2)**

ბ. 402



**სარედაქციო კოლეგია:**

შოთა დოლონაძე	მთავარი რედაქტორი
ოთარ ქოჩორაძე	მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოთარ ბალათურია	პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბალათურია, ოთარ ბალათურია, რასა ბელოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიცკი, ვახტანგ გურული, ქეთო დავითაია, შოთა დოლონაძე, ელუნ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო კამიზი, რიჩარდ მაასი, მიხაილო მედვიდი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუ, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჟახანინა, ბუდი ნურანი რუჩჯანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ვიაჩესლავ ძიუნძიუკი, ია ხუბაშვილი. ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი.



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია ავტორი.  
გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას  
და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

**რედაქციის მისამართი:**

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,

I სართული, ტელ. 236-45-14,

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 2364514

e-mail: [geoandopendip@yahoo.com](mailto:geoandopendip@yahoo.com)

გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია

ჟურნალი გამოდის კვარტალში ერთხელ, 4 ნომერი წელიწადში

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია კებვერდზე:

<http://odageorgia.ge/?page=gamocemebi>

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია

საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში:

<http://www.eLIBRARY.ru>

**ხელისუფლება და საზოგადოება №1(45)2018, ტომი I**

**სარჩევი**

**საჯარო მმართველობის პრაქტიკა**

**გია ებრალიძე**

არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციები როგორც  
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი----- 5

**მიხეილ აბაშიშვილი**

სამოტივაციო ფაქტორები საჯარო მმართველობის  
ორგანიზაციებში (საქართველოს სასჯელ აღსრულებითი და  
პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის  
გამოკვლევა)----- 12

**Nikolai Orlov**

THE ESSENCE OF THE COMPETENCES OF THE MANAGER OF  
STATE OR MILITARY MANAGEMENT SYSTEMS IN RELATION TO  
THE NATIONAL SECURITY OF UKRAINE----- 24

**დავით ბალათურია**

ადამიანური რესურსების მართვისა და კომუნიკაციების  
ცენტრალიზებული ელექტრონიკული სისტემის დამუშავება----- 30

**Carolina Budurina-Goreacii, Svetlana Cebotari,**

THE EVALUATION OF ACTIVITIES OF SOME MOLDOVAN CIVIL  
SOCIETY INSTITUTIONS IN THE LOCAL COMMUNITY  
DEVELOPMENT----- 41

**თამთა მეგრელიშვილი**

გენდერული ბიუჯეტირება როგორც პრობლემის გადაჭრის გზა---- 57

**ეკონომიკა**

**გენო მორჩილაძე**

საგადასახადო შეთანხმება----- 64

**სამართალი**

**Оксана Орел**

ОСОБИСТІСТЬ ЗЛОЧИНЦЯ ЯК СИСТЕМОУТВОРЮЮЧИЙ  
ЕЛЕМЕНТ МОДЕЛІ ПРАВОПОРУШНИКА У СФЕРІ ПРОТИДІЇ  
НАЦІОНАЛЬНІЙ БЕЗПЕЦІ УКРАЇНИ ТА КОМП'ЮТЕРНИХ  
ТЕХНОЛОГІЙ----- 71

**Лилия Попова**

АДМИНИСТРАТИВНО-ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ  
КОНТРОЛЬНОГО МЕХАНИЗМА В УКРАИНЕ----- 81

*ხელისუფლება და საზოგადოება №1(45)2018, ტომი I*

*სახელმწიფო და რელიგია*

<b>Татьяна Гаврилюк</b> ЗАПАДНОЕ УЧЕНИЕ ОБ ОПРАВДАНИИ И ВОСТОЧНОЕ УЧЕНИЕ ОБ ОБОЖЕНИИ В СОВРЕМЕННОЙ АНТРОПОЛОГИЧЕСКОЙ ПЕРСПЕКТИВЕ-----	<b>92</b>
<b>Ирина Горохолинская</b> СОВРЕМЕННАЯ КУЛЬТУРА: ЦЕННОСТНАЯ ИДЕНТИЧНОСТЬ ЧЕЛОВЕКА В УСЛОВИЯХ ПОСТСЕКУЛЯРНОСТИ-----	<b>100</b>
<b>Михайло Мокіенко</b> ХАРИЗМАТИЧНИЙ РУХ: ПРОДОВЖЕННЯ П'ЯТИДЕСЯТНИЦТВА ЧИ НОВІТНЯ РЕЛІГІЙНА ТЕЧІЯ?-----	<b>109</b>
<b>Дмитрий Гончаренко</b> РЕЛИГИОВЕДЧЕСКИЙ АНАЛИЗ СОЦИАЛЬНО- ЭКОНОМИЧЕСКИХ ВОЗЗРЕНИЙ АВГУСТИНА БЛАЖЕННОГО И ТОМЫ АКВИНСКОГО-----	<b>122</b>
<b>საზოგადოება</b>	
<b>ბადრი ცხადაძე, ეკა ცხადაძე</b> ნარვევები წანარული ტოპონიმიდან (ერთი გვანტელდალური ტოპონიმისა და გვარსახელის (მგდ, მგდეურ) წარმომავლობისათვის)-----	<b>132</b>
<b>პრაქტიკა</b>	
<b>მარიამ შანშიაშვილი</b> პოლიტიკური ტექნოლოგიები, როგორც საზოგადოების მანიპულაციის ერთ-ერთი ფაქტორი (მორგებული საქართველოს მაგალითზე)-----	<b>139</b>
<b>Александр Колесниченко</b> РЕАБИЛИТАЦИЯ УЧАСТНИКОВ БОЕВЫХ ДЕЙСТВИЙ, КАК СОЦИАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ ПРОБЛЕМА-----	<b>149</b>

# საჯარო მმართველობის პრაქტიკა

გია ებრალიძე

არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციები როგორც  
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

სტატიაში განიხილება სამოქალაქო საზოგადოებას როული სტრუქტურა და მისი ორგანიზების სოციალური, კულტურული, კონომიკური და პოლიტიკური სფეროები. ავტორს მიაჩნია, რომ კონომიკურ სფეროში ფუნქციონირებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფართო ქსელი, რომელიც შექმნილია არასახელმწიფო საწარმოებით (სამეწარმო, საკაჭრო, ფინანსური და ა.შ.).

ავტორი თვლის, რომ სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მძლავრ ბერკეტს „შეკვების“ და „წონასწორობის“ სიტემაში პოლიტიკური ძალაუფლების მისწრაფებისკენ ხოლო სამოქალაქო საზოგადოება საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭერას, ამიტომ ორგანიზაციების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ რიგი სახელმწიფო ორგანოს მუშაობაში;

**საკვანძო სიტყვები:** სამოქალაქო საზოგადოება, არაკომერციული ორგანიზაციები, შეკვება, წონასწორობა.

სამოქალაქო საზოგადოებას რთული სტრუქტურა გააჩნია: იგი მოიცავს კონომიკურ სფეროს და ინსტიტუტებს (კერძო საკუთრება, თავისუფალი შრომა, მეწარმეობა) საზოგადოებრივი კავშირების საქმიანობას და ორგანიზებას, პოლიტიკურ პარტიებს, პროფესიონალებს, შემოქმედებით ასოციაციებს, რელიგიულ თემებს, განათლების, აღზრდის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროს, ოჯახს - ადამიანური საცხოვრისის ბუნებრივ საფუძველს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სისტემას და სხვა. ამრიგად, სამოქალაქო საზოგადოება წარმოდგენილია თავისი ორგანიზაციებით და გაერთიანებებით

ყველა საზოგადოებრივ სფეროში. მათგან ყველაზე დიდი წილი მოდის კონომიკურ, პოლიტიკურ და სულიერ სფეროებზე.

### **სამუქალაქო საზოგადოების ორგანიზება კონომიკურ სფეროში**

კონომიკურ სფეროში ფუნქციონირებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფართო ქსელი, რომელიც შექმნილია არასახელმწიფო საწარმოებით (სამეწარმო, სავაჭრო, ფინანსური და ა.შ.), მათ შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ ჯერ ერთი, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ისინი შეადგენს აბსოლუტურ უმრავლესობას; მეორე, არიან რა არასახელმწიფო ფორმის, ისინი წარმოიქმნებიან და ფუნქციონირებენ საბაზრო კონომიკის პირობებში აქედან გამომდინარე ყველა შედეგით: ეკონომიკური რისკები, გაკოტრების აღბათობა, მძაფრი კონკურენტული ბრძოლა და მრავალი სხვა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კონკრეტული მიზნები ეკონომიკურ სფეროში შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ მათი აქტიურობის სტრატეგიული მიმართულებები უცვლელი რჩება, კერძოდ:

- საწარმოების ინტერესებისა და უფლებების დაცვა ამ ორგანიზაციებში მათი წარმომადგენლების მეშვეობით, მაგალითად, ხელისუფლების უმაღლეს ორგანიზებში, სამართლებრივი აქტების ნორმატიული პროექტების მომზადებაში და სხვა;

- საწარმოების ეკონომიკური პოზიციების გამყარებისთვის ხელშეწყობა ფინანსური სახსრების მოზიდვის გზით პერსპექტიული პროექტების რეალიზაციისათვისა და პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრების ათვისებისთვის;

- საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება ანტომონოპოლიური კანონმდებლობის აღსრულებაზე დაკვირვებისათვის;

- პროფესიონალიზმის ამაღლება ბიზნესის ცენტრების და სკოლების შექმნის გზით.

კონომიკურ სფეროში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზება ახდენენ საკუთარი ძალების კონცენტრირებას ძირითადად ამ მიმართულებებით, თუმცა ამით მათი საქმიანობა არ შეიზღუდება. მათ ამოცანას ასევე წარმოადგენს დაქირავებულ მუშაკებთან ურთიერთობების ოპტიმალური

სტრატეგიის შემუშავება, კონფლიკტების გადაწყვეტა თვით სამეწარმეო გარემოში.

### **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზება სოციალურ-კულტურულ სფეროში**

სამოქალაქო საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სფერო მოიცავს: საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს და მოძრაობებს; მოქალაქეების საზოგადოებრივი აქტიურობის სხვადასხვა ფორმებს (მიტინგები, კრებები, დემონსტრაციები); საზოგადოებრივი თვითმართველობის ორგანოები ადგილსაცხოვრებლის მიხედვით ან შრომით კოლექტივებში; მასობრივი ინფორმაციის არასახელმწიფოებრივი საშუალებები.

მეცნიერებაში აქტიურად განიხილება საკითხი: მოიცავს თუ არა ეს სფერო პოლიტიკურ პარტიებს? ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქ არ არსებობს. საქმე იმაშია, რომ თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია არის მმართველი, იგი შედეგად ერწყმის სახელმწიფო სტრუქტურას, სახელმწიფო სახელისუფლო ორგანოებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ობიექტს.

სამოქალაქო საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სფეროს გაერთიანების ორგანიზაციები იქმნება და მოქმედებს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ყველა სუბიექტი, ანუ საზოგადოებრივი ინიციატივის საფუძველზე. ისინი ცდილობენ, საკუთარი სოციალური ინტერესების რეალიზება მოახდინონ ამ ორგანიზაციების მეშვეობით. მეწარმეების კავშირები ძირითადად ასახავს მესაკუთრების კოლექტიურ ინტერესებს, რომლებიც დაკავშირებულია დაქირავებული შრომის გამოყენებასთან.

მშრომელთა სოციალური ინტერესები მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურთან. ხშირად სოციალური ფორმები არ წარმოადგენს ეკონომიკური ინტერესების მიღწევის საშუალებას. ერთ-ერთ ასეთ ფორმას, რომელიც შექმნილია საზოგადოებრივი ინიციატივის საფუძველზე, წარმოადგენს დემოკრატიულ ქვეყნებში ფართოდ განვითარებული მუშათა წარმომდგენლობა საწარმოებში, რომლებიც მოქმედებს მუშათა ორგანიზაციებისა და გაერთიანებებია სხვადასხვა ინტერესის რეალიზაციის მიზნით. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ისინი

მიჩნეულია კანონიერად, ფუნქციონირებს ლეგალურად, მისი წევრები იურიდიულად არიან დაცული დევნისაგან და სამსახურდან გათავისუფლებისგან.

სამოქალაქო საზოგადოება მოწოდებულია, უზრუნველყოს აზრის, სიტყვის თავისუფლება და ასევე საჯაროდ გამოთქვას საკუთარი აზრი. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანთა ცხოვრების წესთან, მათ ზნეობასთან.

### **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზება პოლიტიკურ სფეროში**

სამოქალაქო საზოგადოება მოწოდებულია, უზრუნველყოს აზრის, სიტყვის თავისუფლება და ასევე საჯაროდ გამოთქვას საკუთარი აზრი. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანთა ცხოვრების წესთან, მათ ზნეობასთან.

სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურები შეიძლება იყოს ადგილობრივი, რეგიონული, მოიცავდეს თავისი საქმიანობის სფეროში მთელ ქვეყანას ანდა ფუნქციონირებდეს საერთაშორისო დონეზე, ამასთანავე მათ შეუძლიათ ითანამშრომლონ ოფიციალურ ხელისუფლებასთან ჩამოთვლილი დონეებიდან ნებისმიერზე. მეორე მხრივ, არსებობს ადგილობრივი საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქეების გაერთიანებები, რომლებიც თავის მიზნად ისახავს ცალკეული პრობლემის გადაწყვეტას.

სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ფუნქციებია სოციალურ-კომპენსატორული, კომპენსატორ-რეგენირებადი, სოლიდარული და კომუნიკაციური ფუნქციები, უშუალოდ სიცოცხლის უზრუნველყოფა, სოციალიზაცია, სამოქალაქო მართლწესრიგი, სოციალური და ხელისუფლების განუკითხაობისგან დაცვა. ეს ფუნქციები სრულდება სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურული ელემენტების მეშვეობით - თვითმოქმედი და ნებაყოფლობითი სამოქალაქო გაერთიანებების მიერ.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს მხრიდან გარანტიების განსაზღვრული სისტემის მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოებამ მოიპოვა არსებობის უფლება. ამაში მდგომარეობს სამოქალაქო საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდულება: ძალაუფლების თანმიმდევრული გადანაწილება სამოქალაქო საზოგადოებასა

და სახელმწიფოს შორის. სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნქცია სახელმწიფოსთვის პოლიტიკის განსაზღრაში დახმარების აღმოჩენაა, რაც შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ პირებთან კონტაქტის დამყარებისას. საკანონმდებლო ორგანოების მიერ წინადადებების განხილვის ეტაპზე, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ზეგავლენის მოახდენა პარლამენტარებზე დებატების დროს, შესწორებების შეთავაზება კანონპროექტების განხილვისას. აზრთა დიდი სპეციალის არსებობა კანონპროექტის განხილვის შემთხვევაში დადებით გავლენას ახდენს კანონშემოქმედებით პროცესზე. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს სასამართლო პროცედურებს, რომლებიც განიხილავს ხელისუფლების მოქმედებათა კანონიერებას. დაბოლოს, სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია, მიიღოს მონაწილეობა არა მარტო პოლიტიკის კურსის ჩამოყალიბებასა და საკანონმდებლო საქმიანობაში, არამედ მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკულ განხორციელებაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ ეფექტიანად განახორციელონ დაკვირვება მთავრობის მოქმედებებზე. ზოგიერთ შემთხვევაში მათ შეიძლება დაეკისროთ პირდაპირი პასუხისმგებლობა რაიმე გადაწყვეტილების მიღებაზე განსაზღვრული საზოგადოებრივი წრის მიმართ თანამშრომლობის ან პარტნიორობის ფარგლებში (ეს ფართოდ გამოიყენება სოციალური უზრუნველყოფის და განათლების დარგში).

### სტატის დასასრულს შეგვიძლია დავასკრნათ შემდეგი:

1. სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მძლავრ ბერკეტს „შეკავების“ და „წონასწორობის“ სიტემაში პოლიტიკური ძალაუფლების მისწრაფებისკენ და აბსოლუტური მმართველობისკენ;
2. თვით სამოქალაქო საზოგადოება საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭერას, ამიტომ ორგანიზაციების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ რიგი სახელმწიფო ორგანოს მუშაობაში; არსებობენ რა სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, არიან რა თვითწარმოქმნილნი და

## ხელისუფლება და საზოგადოება №1(45)2018, ტომი I

თვითრეგულირებადი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სხვადასხვა ფორმით ურთიერთმოქმედებენ სახელმწიფოსთან;

3. თავის მხრივ, სახელმწიფო ძალას დაინტერესებულია სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობით, ვინაიდან:

ა) სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს სახელისუფლო სტრუქტურების ღეგიტიმურობის წყაროს;

ბ) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ურთიერთქმედება არის ინფორმაციის წყარო სახელმწიფოსთვის საზოგადოების მდგომარეობის, მისი ინტერესების, განწყობის, სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ ურთიერთობის შესახებ;

გ) რთულ ისტორიულ პერიოდში სამოქალაქო საზოგადოება ხდება მძლავრი ძალა, რომელიც მხარს უჭერს სახელმწიფოს.

### ლიტერატურა

#### References:

1. kutubiZe s, biznesi da kanonmdebloba, 2008w. 13-14, gv.17, 23-25.
2. meqvabiSvili e, ekonomikis globalizacia: mimarTulebebi, gamowvevebi, perspektivebi, Tb., 2009.
3. sefaSvili e, msaflio ekonomikis ganviTarebis obieqturi tendenciebi. Jurn., "makroekonomika", 2001, № 3.
4. Arndt, Sven W. and Henryk Kierzkowski, eds. Fragmentation: New Production Patterns in the World Economy (Oxford: Oxford University Press), 2011.
5. Foreman-Peck J. A history of the world economy, International relations since 1850 (Hemel Hampstead: Harvester Wheatsheaf), 2005.

**რეცენზენტი:** პროფესორი გიორგი ბაღათურია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

**Gia Ebralidze**

**NON-PROFIT ORGANIZATIONS LIKE THE CIVIL SOCIETY INSTITUTE**

#### Summary

The issues of civil society and its complicated structure of the organization of social, cultural, economic and political spheres. The author believes that the economic functions in the field of civil society

organizations in a wide network, which is designed for non-state enterprises (entrepreneurial, commercial, financial, etc.).

The author believes that civil society is one of the most important and powerful force of "containment" and "balance" the system of political power and the aspiration of civil society needs support from the state, so a number of organizations are actively involved in the work of the body.

**Keywords:** civil society, non-profit organizations, retention, equilibrium.

**Reviewer:** Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University.

**Гия Ебралидзе**

## НЕГРАЖДАНСКИЕ НЕКОММЕРЧЕСКИЕ ОРГАНИЗАЦИИ КАК ИНСТИТУТ ГРАЖДАНСКОГО ОБЩЕСТВА

### Резюме

В статье рассматривается сложная структура гражданского общества, его социальная, культурная, экономическая и политическая сферы. Автор считает, что в экономической сфере действует широкая сеть организаций гражданского общества созданных негосударственными предприятиями (предпринимательская, торговля, финансовые и т.д.).

Автор считает, что гражданское общество является одним из важных и мощных рычагов в системе сдерживания и равновесия в стремлении к политической власти, а гражданскому обществу нужна государственная поддержка, поэтому представители организаций активно участвуют в работе ряда государственных органов.

**Ключевые слова:** гражданское общество, некоммерческие организации, сдерживание, равновесие.

**Рецензент:** Профессор Георгий Багатурия, Грузинский Технический Университет.

**მიხეილ აბაშიშვილი**

სამოტივაციო ფაქტორები საჯარო მმართველობის ორგანიზაციებში  
(საქართველოს სასჯელ აღსრულებითი და პრობაციის სამინისტროს  
პენიტენციური დეპარტამენტის გამოკვლევა)

სტატიაში განხილულია საჯარო მმართველობის ორგანიზაციაში (საქართველოს სასჯელ აღსრულებითი და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტი) სამოტივაციო კვლევის შედეგები. კვლევამ მოიცვა ორგანიზაციის პერსონალის სრული შემადგენლობა, რომელიც დაიყო სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებად თანამდებობის, სქესის, ასაკის, შემოსავლის, განათლების დონის მიხედვით. სამოტივაციო კითხვებზე ანონიმურად შეგროვებულმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ საშუალოდ ორგანიზაციაში ძირითადი სამოტივაციო ფაქტორებია ხელფასი, საინტერესო საქმე, კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავება სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებს შორის. კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება ორგანიზაციის ხელმძღვანელობას გააუმჯობესოს პერსონალის დაინტერესება და, შესაბამისად, მუშაობის ხარისხი.

**საკვანძო სიტყვები.** საჯარო მმართველობა, ორგანიზაცია, სასჯელ აღსრულებითი და პრობაციის სამინისტრო, პენიტენციური დეპარტამენტი, მოტივაცია, მიზნობრივი ჯგუფები, ხელფასი, საინტერესო საქმე, კარიერული ზრდა, პროფესიული განვითარება.

**შესავალი**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საჯარო მმართველობის ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი განძსაზღვრელი ფაქტორია ორგანიზაციის პერსონალის მოტივაცია - მამოძრავებელი ძალა, რომელიც უბიძგებს ადამიანს მოქმედებისკენ, მასზე დაკისრებული საქმის საუკეთესოდ შესრულებისკენ.

მოტივაცია მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, ეს არის საქმიანობის სტიმულირების პროცესი, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის მიზნების მიღწევაზე. სწორედ ამის გამო მოტივაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს ორგანიზაციების

ეფექტიანად მუშაობას. შეიძლება ორგანიზაციას ჰქონდეს საუკეთესო სტრუქტურა, სტრატეგია, კარგი მიზნები, ჩატარებული ჰქონდეს არსებული ვითარების ანალიზი, მაგრამ არ იყოს ეფექტიანი იმის გამო, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტს არ შეუძლია მუშავთა შრომის წარმართვა დასახული მიზნისავენ. ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს პერსონალის მოტივაცია იმუშავოს უკეთ. ამ თვალსაზრისისთ օრგანიზაციის ხელმძღვანელი არის (უნდა იყოს) მოტივაციის პრინციპების გამტარებელი რეალურ საქმიანობაში.

მოტივაციის თეორიების, მეთოდებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების გამოყენებით [1-7] განხორციელდა ქვემოთ წარმოდგენილი კვლევა.

### **კვლევის სამიზნე ჯგუფები**

საჯარო მმართველობის ორგანიზაციებში სამოტივაციო ფაქტორების დადგენის მიზნით საქართველოს სასჯელ აღსრულებითი და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტში ჩატარდა თანამშრომელთა სრული გამოკვლევა. სულ ორგანიზაციაში მუშაობს 1742 ადამიანი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განხორციელდა რესპონდენტების კლასიფიკაცია (დაყოფა) შემდეგი სამიზნე ჯგუფების მიხედვით

- თანამდებობის მიხედვით

- ხელმძღვანელი - 60 თანამშრომელი
- საშუალო რგოლის მენეჯერი - 228 თანამშრომელი
- შემსრულებელი - 1345 თანამშრომელი

- სქესის მიხედვით

- მამაკაცი - 1332 თანამშრომელი
- ქალი - 370 თანამშრომელი

- ასაკის მიხედვით

- 35 წლამდე - 725 თანამშრომელი
- 36-55 წლის - 895 თანამშრომელი
- 56 და მეტი წლის - 106 თანამშრომელი

- ხელფასის მიხედვით

- 800 ლარამდე - 59 თანამშრომელი
- 801-1000 ლარი - 1373 თანამშრომელი
- 1001-1500 ლარი - 234 თანამშრომელი
- 1500 ლარზე მეტი - 60 თანამშრომელი

• განათლება

- საშუალო განათლება -372 თანამშრომელი
- არასრული უმაღლესი განათლება -230 თანამშრომელი
- ბაკალავრი -730 თანამშრომელი
- მაგისტრი -383 თანამშრომელი
- აკადემიური ხარისხი - 19 თანამშრომელი

**კვლევის შედეგები**

კვლევა ჩატარდა 2017 წლის ნოემბერში სტრუქტურირებული ანონიმური ინტერვიუს მეშვეობით. ორგანიზაციის თანამშრომლებმა უპასუხეს წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში შედეგებით კითხვარს - ე.წ. მოტივაციის ტესტს. **დასმული იყო ერთი კითხვა:** მიუთითეთ ერთი ფაქტორი, რომელიც თქვენთვის გადამწყვეტი სამოტივაციო ფაქტორია მოცემულ ორგანიზაციაში მუშაობისთვის

პასუხების ვარიანტებად შეთავაზებული იქნა შემდეგი შესაძლებლობები

1. შრომის ანაზღაურება (ხელფასი)
2. საინტერესო, საპასუხისმგებლო საქმიანობა
3. კარიერული წინსვლის შესაძლებლობა
4. პროფესიული განვითარების (კვალიფიკაციის ამაღლების)

**შესაძლებლობა**

5. ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობა,
6. კომფორტული სამუშაო გარემო და პირობები
7. მეგობრული კოლექტივი
8. წახალისების მრავალფეროვანი პირობები
9. სოციალური დაცვის მრავალგვარი ფორმები (მ.შ.

**დაზღვევა)**

10. სხვა (მიუთითეთ.

ქვემოთ წარმოდგენილია კვლევის შედეგების დაჯამებული ცხრილი (იხ. დანართი ცხრილი 1)

როგორც კვლევამ აჩვენა დასმული 9 შეკითხვა სრულებით საკმარისია სამოტივაციო ფაქტორთა შორის. შეკითხვაზე „სხვა (მიუთითეთ)“ არცერთმა რესპონდენტმა არაფერი არ აღნიშნა.

**მე-9 კითხვაზე (სოციალური დაცვის მრავალგვარი ფორმები (მ.შ. დაზღვევა))**

რომელიც ეხებოდა სოციალური დაცვის როგორც სამოტივაციო ფაქტორად განხილვას, გამოირკვა, რომ ეს ფაქტორი ფაქტობრივად არავითარ როლს არ თამაშობს დასაქმებულთა მოტივაციაში. ასეთი შედეგის ანალიზი გვაჩვენებს, რომ მოცემულ ორგანიზაციაში კანონით არის განსაზღვრული სოციალური დაზღვების სავალდებულო ნორმები, ამდენად ეს მოთხოვნა ვერ იქნებოდა დამატებითი სამოტივაციო ფაქტორი.

დაბალი ინტერესია აგრეთვე მე-8 შეკითხვით განსაზღვრულ სამოტივაციო ფაქტორზე - („წახალისების მრავალფეროვანი პირობები“). სავარაუდოდ ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ორგანიზაციაში არ იყენებენ წახალისების სხვადასხვა ფორმებს. შედარებით მაღალი ინტერესი ამ ფაქტორისადმი გამოიჩინა მაღალი ხელფასის (1001-1500 ლარი) მქონე პერსონალმა - 14% რაც 33 ადამიანს შეადგენს (თანამშრომელთა სრული რაოდენობის 2%).

სხვა სამოტივაციო ფაქტორების მიხედვით კვლევამ მოგვცა შემდეგი სურათი:

### 1. შრომის ანაზღაურება (ხელფასი)

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამოტივაციო ფაქტორი აღმოჩნდა „შრომის ანაზღაურება (ხელფასი)“, რომელიც დასახელა პერსონალის 42%-მა, როგორც მთლიანობაში,, ისე სხვადასხვა კლასების მიხედვით. თუმცა ხელმძღვანელი პირების მხოლოდ 23 %-ისთვის აღმოჩნდა ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი, მათვის უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დაკავებულნი არიან საინტერესო, საპასუხისმგებლო საქმით (27%).

ხელფასი მეტად მნიშვნელოვანია ასაკოვანი (56 წელზე მეტი ასაკის) პერსონალისთვის - 49%, განსაკუთრებით ასაკოვანი ქალებისთვის (59%).

ასევე მეტად მნიშვნელოვანია შრომის ანაზღაურება შედარებით დაბალი ხელფასის (800 ლარზე ნაკლები) პერსონალისთვის (56%).

განათლების მიხედვით ხელფასზე მოთხოვნა უფრო მეტი აქვს ნაკლები განათლების მქონე პერსონალს (საშუალო განათლება - 44%, ბაკალავრი და არასრული უმაღლესი - 42%, აკადემიური ხარისხი და მაგისტრი - 41%).

## 2. საინტერესო, საპასუხისმგებლო საქმიანობა

საშუალოდ ორგანიზაციაში საინტერესო საქმე, როგორც მთავარ სამოტივაციო ფაქტორი მიაჩნია პერსონალის 15%-ს, ეს მაჩვენებლი უფრო მაღალია ხელმძღვანელი მუშაკებისთვის (27%), ასევე მდედრობითი სქესის პერსონალისთვის (21%), თუმცა დაბალია ასაკოვანი ქალებისთვის (10%).

განათლების მიხედვით შეინიშნება ტენდენცია - რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება საინტერესო, საპასუხისმგებლო საქმიანობა (საშუალო განათლება - 11%, ბაკალავრი და არასრული უმაღლესი - 15%, აკადემიური ხარისხი და მაგისტრი - 18%).

## 3. კარიერული წინსვლის შესაძლებლობა

კარიერული ზრდა მთლიანად ორგანიზაციის მასშტაბით პერსონალის 9%-ს მიაჩნია მთავარ სამოტივაციო ფაქტორად. ამასთან ხელმძღვანელი მუშაკების მხოლოდ 3%-სთვის არის ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი. თუმცა მათთვის ძლიერ მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარების პერსპექტივა (18%).

საერთოდ არ აქვთ კარიერული ზრდის ამბიცია ასაკოვან პერსონალს. შედარებით მაღალია - ახალგაზრდა (35 წლამდე) პერსონალში (13%). შედარებით დაბალი - მდედრობითი სქესის პერსონალში (6%).

განათლების მიხედვით თითქოს არ ჩანს კარიერული წინსვლის სურვილი, შედეგები საერთო ორგანიზაციიული მაჩვენებლის გარშემო იცვლება- (საშუალო განათლება - 8%, ბაკალავრი და არასრული უმაღლესი - 11%, აკადემიური ხარისხი და მაგისტრი - 6%), თუმცა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით კვლავ შეინიშნება ტენდენცია, მაღალი განათლება - მაღალი დაინტერესება პროფესიული განვითარებით

## 4. პროფესიული განვითარების (კვალიფიკაციის ამაღლების) შესაძლებლობა

პროფესიული განვითარება მთლიანად ორგანიზაციის მასშტაბით პერსონალის 12%-ს მიაჩნია მთავარ სამოტივაციო ფაქტორად. ამასთან ხელმძღვანელი მუშაკების 18%-სთვის არის ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი.

დაბალია პროფესიული განვითარების ამბიცია ასაკოვან პერსონალში (3%). მცირედ მაღალია - მაღალი ხელფასის (1001-

1500 ლარი) მქონე პერსონალში (14%). მათთვის ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობა (14%)

განათლების დონის მიხედვით კვლავ შეინიშნება ტენდენცია - მაღალი განათლება, მაღალი დაინტერესება პროფესიული განვითარებით (საშუალო განათლება - 8%, ბაკალავრი და არასრული უმაღლესი - 11%, აკადემიური ხარისხი და მაგისტრი - 16%), თუმცა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით

##### **5. ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობა**

ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობა მთლიანად ორგანიზაციაში პერსონალის მხოლოდ 2%-ს აინტერესებს, ხელმძღვანელობის 7%-ს და მაღალი ხელფასის (1001-1500 ლარი) მქონე პერსონალს (14%).

განათლების მიხედვით აյ არ ჩანს სერიოზული დაინტერესება

##### **6. კომფორტული სამუშაო გარემო და პირობები**

კომფორტული სამუშაო პირობები მთლიანად ორგანიზაციაში პერსონალის მხოლოდ 4,5%-ს აინტერესებს, (მ.შ. ხელმძღვანელობის 2%-ს), ასაკოვან თანამშრომლებს (11%) და დაბალი ხელფასის (800 ლარამდე) მქონე პერსონალს (15%). სამუალო მაჩვენებლთან ახლოს არის ასევე სხვადასხვა დონის მქონე განათლების პერსონალის მოტივაცია

##### **7. მეგობრული კოლექტივი**

მეგობრული კოლექტივი მთლიანად ორგანიზაციაში პერსონალის მხოლოდ 6%-ს აინტერესებს, მაგრამ განსხვავებული შედეგები გვაქვს ხელმძღვანელობისთვის (12%), მდედრობითი სქესის პერსონალისთვის (2%) და დაბალი ხელფასის (800 ლარამდე) მქონე პერსონალისთვის (9%). ასევე, დაბალი განათლების მქონე პერსონალისთვის მეგობრული კოლექტივი მნიშვნელოვანი ფაქტორია (საშუალო განათლება - 12%, ბაკალავრი და არასრული უმაღლესი - 4%, აკადემიური ხარისხი და მაგისტრი - 3%).

##### **დასკვნა**

ამრიგად მთლიანად ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურება უმნიშვნელოვანესი სამოტივაციო ფაქტორია (42% - 732 ადამიანი), თუმცა არა ერთადერთი. ასევე მნიშვნელოვანია საინტერესო საქმე (18%), კარიერული ზრდისა (9%) და პროფესიული განვითარების

შესაძლებლობა (12%). გარკვეული, თუმცა მცირე მნიშვნელობა აქვს მეგობრულ კოლექტივსა (6%) და კომფორტულ სამუშაო პირობებს (4,5%). დამაფიქრებელია წახალისების სხვადასხვა ფორმებისადმი პერსონალის მცირე ინტერესი (2%), ხოლო ხელმძღვანელთა მხრიდან - 0%. ბუნებრივია, რომ ორგანიზაცია უნდა ეცადოს აღნიშნული სამოტივაციო ფაქტორების გაძლიერებას პერსონალის სამიზნე ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით.

**კრძოდ:**

**ხელმძღვანელი და მაღალანაზღაურებადი პერსონალისთვის** სამოტივაციო ფაქტორები თითქმის ერთნაირია, ერთი განსხვავების გარდა. სახელდობრ მათთვის მნიშვნელოვანია

- შრომის ანაზღაურება (23%)

**საინტერესო, საპასუხისმგებლო საქმიანობა (27%)** ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალანაზრაურებადი პერსონალისთვის (35%)

- პროფესიული განვითარების (კვალიფიკაციის ამაღლების) შესაძლებლობა (18%)

**ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობა (7%)**

- მეგობრული კოლექტივი (12%),

**რამდენადაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი პერსონალი საკვანძო სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს, ამდენად აუცილებელია ზემოაღნიშნული სამოტივაციო ფაქტორების გაძლიერება.**

**ახალგაზრდა და საშუალო ასაკის პერსონალის სამოტივაციო ფაქტორები** ძირითადად ერთნაირია და ფაქტობრივად იმეორებს მთლიანად ორგანიზაციის სურათს, მაგრამ არის მნიშვნელოვანი განსხვავებაც - ახალგაზრდებს (35 წლამდე) უფრო აინტერესებთ კარიერული ზრდის შესაძლებლობა (13%) რაც აუცილებლად გასათვალისწინებელი გარემოებაა.

**შედარებით ასაკოვანი პერსონალისთვის ხელფასსა და საინტერესო საქმესთან ერთად მნიშვნელოვანია აგრეთვე კომფორტული სამუშაო პირობები (11% - საშუალო ორგანიზაციულზე 4,5% გაცილებით მეტად).**

**დაბალხელფასიან პერსონალს (800 ლარამდე)** აინტერესებს მხოლოდ შრომის ანაზღაურება, სამუშაო პირობები და

მეგობრული კოლექტივი, რაც ასევე მნიშვნელოვანია საშუალო განათლების მქონე პერსონალისთვის. პერსონალის ძირითადი ნაწილისთვის (ხელფასი 801-1000 ლარი, სულ 1373 თანამშრომელი) ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც მთლიანად ორგანიზაციაში. რაც შეხება მაღალ ხელფასიან პერსონალს (1000-1500 ლარი) მათთვის საიტერესოა აგრეთვე მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობა და წახალისების სხვადასხვა ფორმები.

განათლების თვალსაზრისით შეინიშნება გარკვეული ტენდენცია - უფრო მაღალი განათლების მქონე პერსონალისთვის ხელფასი შედარებით ნაკლები მნიშვნელობისაა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვნია საინტერესო საქმე და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა.

**რეკომენდაციის** სახით შესაძლებელია ითქვას, რომ თუ საბიუჯეტო შეზღუდვების პირობებში ხელფასის ზრდა ვერ ხერხდება, მაინც ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა უფრო ეფექტიანი გახადოს ორგანიზაციის მუშაობა იმ პუნქტებზე აქცენტირებით რაც ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნია პერსონალს (სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ინტერესთა გათვალისწინებით). ძირითადად ეს არის საინტერესო საქმე, კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. ყურადღება უნდა მიეცეს აგრეთვე წახალისების სხვადასხვა ფორმების დანერგვას.

მიღებული შედეგები გამოდგება აგრეთვე ახალი პერსონალის სამსახურში მიღების დროს.

**დანართი - ცხრილი 1. მთავარი სამოტივაციო ფაქტორი  
(დაჯამებული მონაცემები პროცენტულად)**

სამოტივა ცოდ ფაქტორი	რესპონდენტები							ასაკოვანი >56 წელი.		
	სულ	ხელმძღვანელი	ტურქეთი და შემსრ	მაძრობითი	მდგედრობითი	ასალუგზერდა (35-მდე)	სასახლელო ასაკის 36-55	სულ	კავი	ქართველი
1- ხელფასი	42	23	42	41	45	40	43	49	48	59

ხელისუფლება და საზოგადოება №1(45)2018, ტომი I

2- საინტერე სო საქმე	15	27	15	13	21	14	16	13	15	10
3-კარიერა	9	3	9	9	6	13	6	0	0	0
4- პროფესი ული განვითარ ება	12	18	12	12	12	12	12	3	3	3,5
5- მართვაში მონაწილე ობა	2	7	2	2	1,4	2	2	3	1	3,5
6- კომფორტ ული გარემო	4,5	2	5	4,5	4	4	4	11	11	7
7- მეგობრუ ლი კოლექტი ვი	6	12	6	7	2	6	6	7	5,5	7
8- წახალისე ბა	2	0	2	2	1,4	2	2	2	3	0
9- სოციალუ რი დაცვა	0,8	0	0	0,9	0	1	1	0	0	0
10-სხვა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

სამომზადო ფაქტორი	რესპონდენტების ხელფასი				რესპონდენტების განათლება			
	<800	801-1000	1001-1500	>1500	საშუალო	გაყიდვები, არასრული	მაგისტრი	სკალიფირ
1-ხელფასი	56	43	38	22	44	42	41	48
2-საინტერესო საქმე	0	15	14	35	11	15	18	21

**ხელისუფლება და საზოგადოება №1(45)2018, ტომი I**

3-კარიერა	0	9	8	2	8	11	6	11
4-პროფესიული განვითარება	0	11	14	17	8	11	16	16
5-მართვაში მონაწილეობა	0	0	14	7	0,6	3	2	0
6-კომფორტული გარემო	15	4	6	3	5	3	6,5	0
7-მეგობრული კოლექტივი	9	6	4	12	12	4	3	0
8-წახალისება	0	0	14	2,5	2	2	0	0
9-სოციალური დაცვა	0	0	0	0	0	0	0	0
10-სხვა	0	0	0	0	0	0	0	0

**ლიტერატურა**

**References:**

1. baRaTuria d., ovsianikova n., baRaTuria g. personalis motivacia ZiriTadi Teoriuli debulebebi da praqtkuli rekomenaciebi. Tbilisi, 2017.
2. gurgeniZe v., avtorTa koleqtivi - ovsianikova n. – personalis marTva – meTodur - praqtkuli saxelmZRvanelo. – Tbilisi, 2003.
3. gurgeniZe v., avtorTa koleqtivi-n.ovsianikova - rogor vmarToT Tanamromlebi- meTodur - praqtkuli saxelmZRvanelo - asociacia “si-ai-em-es konsaltingi”, Tbilisi , 2008.
4. Elliott, Andrew J; Covington, Martin. "Approach and Avoidance Motivation". Educational Psychology Review. 13 (2001): 2.
5. Pardee, R. L. (1990). Motivation Theories of Maslow, Herzberg, McGregor & McClelland. A Literature Review of Selected Theories Dealing with Job Satisfaction and Motivation.
6. Maehr, Martin L; Mayer, Heather (1997). "Understanding Motivation and Schooling: Where We've Been, Where We Are, and Where We Need to Go". Educational Psychology Review. 9 (44).
7. Ryan, Richard; Edward L. Deci (2000). "Intrinsic and Extrinsic Motivations: Classic Definitions and New Directions". Contemporary Educational Psychology. 25 (1): 54–67. doi:10.1006/ceps.1999.1020.

**რეცენზები:** პროფესორი გიორგი ბადათურია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

**Mikheil Abashishvili**

**MOTIVATION FACTORS IN PUBLIC ADMINISTRATION ORGANIZATIONS (SURVEY OF THE PENITENTIARY DEPARTMENT OF THE MINISTRY OF CORRECTIONS OF GEORGIA)**

**Summary**

The article discusses the results of motivation research in the Public Administration Organization (Penitentiary Department of the Ministry of Corrections of Georgia). The survey covered the full staff of the organization's which was divided into different target groups according to the rank, sex, age, income and level of education. Anonymously collected information on motivating questions has demonstrated that the main motivational factors in the organization are salary, interesting job, career growth and professional development. However, there is some difference between different target groups. As a result of the research, recommendations have been developed that will help the organization's leadership to improve the motivation of the personnel and the quality of the work.

**Keywords.** public administration, organization, ministry of corrections, penitentiary department, motivation, target groups, salary, interesting job, career growth, professional development.

**Reviewer:** Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University.

**Михеил Абашишвили**

**ФАКТОРЫ МОТИВАЦИИ В ОРГАНИЗАЦИЯХ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ (ИССЛЕДОВАНИЕ ПЕНИТЕНЦИАРНОГО ДЕПАРТАМЕНТА МИНИСТЕРСТВА ИСПОЛНЕНИЯ НАКАЗАНИЙ И ПРОБАЦИИ ГРУЗИИ)**

**Резюме**

В статье рассматриваются результаты исследования мотивации в организации государственного управления (Департамент исполнения наказаний Министерства исполнения наказаний Грузии). Опрос охватил весь персонал организации, который был разделен на различные целевые группы в зависимости от должности, пола, возраста, зарплаты и уровня образования. Анонимно собранная

информация по мотивирующим вопросам показала, что основными мотивационными факторами в организации являются зарплата, интересная работа, карьерный рост и профессиональное развитие. Однако, существует некоторая разница между различными целевыми группами. В результате исследования были разработаны рекомендации, которые помогут руководству организации повысить мотивацию персонала и качество работы.

**Ключевые слова.** государственное управление, организация, министерство исполнения наказаний и пробации, пенитенциарный департамент, мотивация, целевые группы, зарплата, интересная работа, карьерный рост, повышение квалификации.

**Рецензент:** Профессор Георгий Багатурия, Грузинский Технический Университет.

UDK 323:351.746.1 (477)+ 0.82

Nikolai Orlov

**THE ESSENCE OF THE COMPETENCES OF THE MANAGER OF STATE OR MILITARY MANAGEMENT SYSTEMS IN RELATION TO THE NATIONAL SECURITY OF UKRAINE**

*On the basis of analysis of legislative base essence of jurisdictions of upravlenca of the systems of state or military administration is considered in relation to National safety of Ukraine. Grounded, that in the field of defence of vitally important interests of man and citizen, society and state at which provided steady development of society, such jurisdictions, can be: knowledge of essence of vitally important interests of man and citizen, society and state; ability to discover, prevent and neutralize real and potential threats to national interests in the spheres of law-enforcement activity; to know methods and receptions of priv, which circulates in the contour of control system; to be well-informed in relation to a fight against a corruption in certain organizations and in the state on the whole, boundary activity and defensive of power departments.*

**Keywords:** jurisdictions, upravlenec, control system, National safety of the state.

**Introduction.** Items of the National Security of Ukraine is conducted by scholars as: O. Vlasyuk, S. Pyrozhkov, O. Belov, Y. Matiychyk, S. Gerasimchuk, V. Gorbulin, A. Gutsal, A. Litvinenko and others. [1].

The above-mentioned works consider the scientific-methodological approaches to the formation of the system of national security and ways of their solution.

The urgency of the problem considered by the author in the article is indicate by the fact that the International Scientific and Practical Conference "Education and Science in the Area of National Security: Problems and Development Priorities" took place on December 1, 2017 at the National University of Ostroh Academy. The conference was attended by the Department of Political Science and National Security of the Ostroh Academy, the Research Institute of Informatics and Law of the National Academy of Legal Sciences of Ukraine and the section on the legal provision of national security and defense of the National Academy of Legal Sciences of Ukraine. Teachers and cadets of the National Academy of the Security Service of Ukraine also took an active part. In their speeches, they raised the actual issue of contemporary problems of ensuring national security.

The Decree of the President of Ukraine [2] refers to measures to strengthen Ukraine's national security in the military sphere. Some questions about the research are set out in the paper [3].

At the same time, the author of the article is not familiar with the nature of the competencies of the manager of state or military management systems in the sphere of National Security of Ukraine, which is the basis of his competence in this area. The importance of this problem lies in the plane of ability of the manager of the defined control systems qualitatively, from the state and patriotic positions to perform their duties. Only a trainee person in the field of national security of the state can be considered a specialist in the field of state or military management.

**Main part.** As presented in [4], the national security of the state is:

- protection of vital interests of a person and a citizen, society and the state, in which sustainable development of society is ensured;
- timely detection, prevention and neutralization of real and potential threats to national interests in the spheres of law-enforcement activity;
- fighting corruption, border activities and defense, migration policy, health care, education and science, science and technology and innovation policy, cultural development of the population;
- ensuring freedom of speech and information security;
- social policy and pensions, housing and communal services, financial services market, property rights protection, stock markets and securities circulation, fiscal and customs policies, trade and entrepreneurial activity, banking services market, investment policy, auditing activities, monetary and foreign exchange policy;
- information protection, licensing, industry and agriculture, transport and communications, information technology, energy and energy conservation, functioning of natural monopolies,
- use of mineral resources, land and water resources, minerals, protection of ecology and the environment *and other areas of public administration in the event* of negative tendencies towards the creation of potential or real threats to national interests.

On this basis, the manager of state or military management systems had obliged to have the following *competencies* during the period of training and practical activity:

1. In the sphere of protection of vital interests of man and citizen, society and the state, in which sustainable development of society is ensured.

The basis for such competencies can be:

- knowledge of the essence of the vital interests of man and citizen, society and the state;

- ability to detect, prevent and neutralize actual and potential threats to national interests in the field of law-enforcement activities;
- know the ways and means of protecting information circulating in the control system;
- to be aware of the fight against corruption in certain organizations and in the state as a whole, border activity and defense of law enforcement agencies.

According to the author of the article, the mentioned competencies manager of state or military management systems can be obtained in such educational disciplines during the study period, or in the process of independent work of a specialist:

2. Fundamentals of the National Security of Ukraine, where they can be defined in the following directions:

- the main categories of the National Security of Ukraine (the essence of national interests, the content of threats to national security, the appointment, structure, functions of the military organization of the state and law-enforcement bodies, the concept of the objects of national security and subjects of ensuring national security);

- principles of ensuring national security;
- priorities of national interests;

- threats to the national interests and national security of Ukraine (in the foreign policy sphere, in the sphere of state security, in the military sphere and in the sphere of security of the state border of Ukraine, in the domestic political sphere, in the economic sphere, in the social and humanitarian spheres, in the scientific and technological sphere, in the ecological sphere, information sphere).

3. Information security of the state. The main components of such a discipline are presented by the authors in the work [5]. Within this discipline, the manager may acquire competencies in the following areas:

- the main provisions of information security;
- the basis of information confrontation;
- the basis of state information policy;
- information systems and technologies as objects of information security;
- fundamentals of security of information resources in systems of state or military management;
- fundamentals of information security management.

4. Cyber Systems: Existing Status and Development Prospects. The main components of cyber systems are partly presented in articl [6, 7]. According to the author of the article, such educational disciplines should be in educational establishments where the managers of state or military

management systems are trained. Within this discipline, the manager may acquire competencies in the following areas:

- modern war: cyber defense and cyberattacks;
- the structure, tasks and capabilities of individual types of intelligence and the essence of intelligence in systems of state or military management;
- methodical apparatus for investigating and developing algorithms for counteracting hackers.

According to the author of the article, the manager who received the competence on the above-mentioned questions. can be tested on the competence to perform management functions in systems of state or military management.

#### Conclusion.

If the aggressor state has a cyber troop, then in Ukraine there will be such troops that will solve the tasks in the sphere of national security of the state. Therefore, the competence of the manager of state or military management systems in relation to the National Security of Ukraine is a topical issue.

National security of Ukraine *is ensure* not only through conducting a well-balanced state policy in accordance with the state and sectorial concepts, doctrines, strategies and programs adopt in the established order (approved) in the political, economic, social, military, environmental, scientific, technological, information and other spheres, but also the choice of specific means and ways of ensuring it, including improving the competencies of the manager of state or military management systems in relation to the National Security of Ukraine.

The directions of further research can be: substantiation of the concept of formation of educational disciplines for the training of the manager of state or military management systems in relation to the National Security of Ukraine.

#### References:

1. Власюк О. С. Національна безпека України: еволюція проблем внутрішньої політики. Вибр. наук. праць. – К : НАСД, 2016. – 528 с. ISBN 978-966-554-271-1.
2. Указ Президента України від 5.05.2014 р. № 453/2014 "Про рішення Ради національної безпеки і оборони України. Про заходи щодо зміцнення національної безпеки України у воєнній сфері".
3. Гай-Нижник П. П. Росія проти України (1990–2016 pp.): від політики шантажу і примусу до війни на поглинання та спроби знищенння. – К. : МП Леся, 2017. – 332 с. ISBN 978-617-7530-0.

4. Національна безпека України [Електронний ресурс]. Режим доступу: [https://uk.wikipedia.org/wiki/Національна\\_безпека\\_України](https://uk.wikipedia.org/wiki/Національна_безпека_України).
5. Юдін О. К., Богуш В. М. Інформаційна безпека держави: навч. посібник. / Ю. К. Юдін, В. М. Богуш. – Х. :Консум, 2005. 576 с. ISBN 966-7920-92-5.
6. В Україні створять кібервійська – Турчинов [Електронний ресурс]. Режим доступу: <https://fakty.ictv.ua/ua/ukraine/20180202-v-ukrayini-stvoryat-kibervijska-turchynov>.
7. Олеся Линник. Засновник M.E.Doc: Держава не захистить нас в кібервійні [Електронний ресурс]. Режим доступу: <https://fakty.ictv.ua/ua/ukraine/20180115-zasnovnyk-m-e-doc-derzhava-ne-zahystyt-nas-v-kibervijni>.

**Reviewer:** Associate professor Alexander Iokhov, Chief of department of Informatics and applied information technologies, candidate of engineerings sciences, colonel, National academy of the National household troops of Ukraine.

### ნიკოლაი ორლოვი

მმართველის კომპეტენციების არსი სახელმწიფო ან სამხედრო მართვის სისტემებში უკრაინის ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

### რეზიუმე

საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით განხილულია სახელმწიფო სამხედრო სისტემაში მმართველთა კომპეტენციის არსი უკრაინის ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. დასაბუთებულია, რომ ადამიანისა და მოქალაქის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ინტერესების დაცვის სფეროში, სადაც უზრუნველიყოფა საზოგადოების მდგრადი განვითარება, ასეთ კომპეტენციებად შეიძლება იყოს: ადამიანის, მოქალაქის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების არსის ცოდნა; სამართლდამცავი მოღვაწეობის სფეროებში ეროვნული ინტერესებისადმი რეალური და პოტენციური საფრთხეების აღმოჩენის, პრევენციისა და ნეიტრალიზირების უნარი; ინფორმაციის დაცვის მეთოდებისა და ხერხების ცოდნა, რომლებიც ცირკულირებს მართვის სისტემის კონტურში; ინფორმირებული უნდა იყოს კორუფციასთან ბრძოლაში

განსაზღვრულ ორგანიზაციებში, და ზოგადად სახელმწიფოში, სასაზღვრო საქმიანობასა და ძალოვანი უწყებების დაცვაში.

**საკვანძო სიტყვები:** კომპეტენციები, მმართველი, მართვის სისტემა, ეროვნული სახელმწიფო უსაფრთხოება.

**რეცენზენტი:** ასოცირებული პროფესორი აღექსანდრე იოხოვი, უკრაინის ეროვნული გვარდის ეროვნული აკადემიის ინფორმატიკისა და გამოყენებითი საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრის უფროსი, პოლკოვნიკი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

**Николай Орлов**

**СУТЬ КОМПЕТЕНЦИЙ УПРАВЛЕНЦА СИСТЕМЫ ГОСУДАРСТВЕННОГО ИЛИ ВОЕННОГО УПРАВЛЕНИЯ ОТНОСИТЕЛЬНО НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ УКРАИНЫ**

**Резюме**

На основе анализа законодательной базы рассмотрена сущность компетенций управленца систем государственного или военного управления относительно Национальной безопасности Украины. Обоснованно, что в сфере защиты жизненно важных интересов человека и гражданина, общества и государства, при котором обеспечиваются устойчивое развитие общества, таких компетенций, могут быть: знание сущности жизненно важных интересов человека и гражданина, общества и государства; умение обнаружить, предотвратить и нейтрализовать реальные и потенциальные угрозы национальным интересам в сферах правоохранительной деятельности; знать способы и приемы защиты информации, которая циркулирует в контуре системы управления; быть осведомленным относительно борьбы с коррупцией в определенных организациях и в государстве в целом, пограничной деятельности и обороны силовых ведомств.

**Ключевые слова:** компетенции, управленец, система управления, Национальная безопасность государства.

**Рецензент:** Доцент Александр Иохов, Начальник кафедры Информатики и прикладных информационных технологий, кандидат технических наук, полковник, Национальная академия Национальной гвардии Украины.

### დავით ბალათურია

ადამიანური რესურსების მართვისა და კომუნიკაციების  
ცენტრალიზებული ელექტრონილი სისტემის დამუშავება

სტატიაში განხილულია ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე გამოწვევები, რაც დაკავშირებულია თეორიული დებულებების პრაქტიკულ იმპლემენტაციასთან ელექტრონული მმართველობის სისტემების მეშვეობით. აღწერილია ავტორის მიერ დამუშავებული ე-მმართველობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების ეფექტიან და ეფექტურ მართვასა და კომუნიკაციას.

**სკვანძო სიტყვები:** ადამიანური რესურსების მართვა, კომუნიკაცია, ელექტრონული მმართველობა, ინფორმაციის მართვის სისტემა, მართვის ვებ-პროგრამა - ლიმე, ვებ-სერვერი.

### შესავალი

ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორთა ერთობლიობა: ორგანიზაციის ფინანსური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და მათი გამოყენების უნარი, მოსალოდნელი საფრთხეები და მათი თავიდან აცილების უნარი, ორგანიზაციის განვითარების სწორად ჩამოყალიბებული ხედვა და მისია, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის სტრატეგიები და, რაც მთავარია, ორგანიზაციის პერსონალი, მათ შორის ხელმძღვანელობა და ის ადამიანები, რომლებიც ქმიან საბოლოო ანგარიშით იმ შედეგებს, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის წარმატებასა თუ წარუმატებლობას. სწორედ ამიტომ, ორგანიზაციის საქმიანობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური რესურსების ოპტიმალურ დაგეგმვასა და ეფექტიან მართვას. ამისათვის მმართველი მენეჯერები უნდა ფლობდნენ ადამიანური რესურსების მართვის შესაბამის ტექნოლოგიებსა და მეთოდებს. ბუნებრივია, რომ ეს მოთხოვნები ერთნაირად საჭიროა როგორც საჯარო მმართველობის ორგანიზაციებისთვის, ისე კომერციული და არასამთავრობო დაწესებულებებისთვის.

## ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე გამოწვევები

ამრიგად, ადამიანური რესურსების მართვა (HR Management) წარმოადგენს ნებისმიერი ორგანიზაციის ეფექტურობის ერთ-ერთ აუცილებელ და უმთავრეს პირობას (Armstrong, 2011). როგორ ვმართოთ ორგანიზაცია? როგორ მოვახერხოთ პერსონალის ეფექტური და ეფექტური ჩართვა ორგანიზაციის საქმიანობაში დასახული მიზნების მისაღწევად? ეს ერთი შეხედვთ მარტივი კითხვები, რომლებიც თეორიულად თითქოსდა გადაწყვეტილია, პრაქტიკულად აწყდება სერიოზულ პრობლემებს, ხმირად გადასაწყვეტად მეტად რთულ და ზოგჯერ გაუგებარ წინააღმდეგობებს.

ადამიანური რესურსების მართვის მირითადი ფუნქციები (ორგანიზება/დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლის მართვა, სამუშაოს მართვა, ორგანიზაციიდან გასვლის მართვა), თავის მხრივ, მოიცავს სხვადასხვა საკვანძო ქვეფუნქციასა და კონკრეტულ პროგრამებს. ეფექტური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა აღნიშნული ფუნქცია სრულყოფილად ხორციელდებოდეს და, ამასთან, ადამიანური რესურსები მართვის სისტემაში შემავალი ყველა ქვესისტემის ფუნქციონირება უნდა ხდებოდეს საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებსა და ღირებულებების მიხედვით (Beardwell, 2004; Dessler, 2005)., აქვე უნდა გავითვალისწინოთ პერსონალის თითოეული ინდივიდის „კაპიტალი“ ანუ მისი ცოდნა, პროფესიული გამოცდილება, პიროვნული თვისებები, ინდივიდუალური მიზნები, ინტერესები, მისწრაფებები და ა.შ. ადამიანური რესურსების მართვა აუცილებლად გულისხმობს ამ კაპიტალის გამოყენებას ორგანიზაციის ინტერესების შესაბამისად. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა შეძლოს განსხვავებული ხასიათის, ცოდნისა თუ გამოცდილების მქონე ადამიანთა მართვა ორგანიზაციის საერთო მიზნების მისაღწევად. როგორც კი იცვლება ორგანიზაციის მიზნები და სტრატეგია, მაშინვე იცვლება კონკრეტული ამოცანები და შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს ორგანიზაციის პერსონალის სტრუქტურაც და შემადგენლობაც, რომლის მართვა უმტკივნეულოდ და მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე უნდა განახორციელოს პერსონალის მართვის

лидер – папа перенимали на себя светские полномочия, что способствовало формированию католической доктрины о «Двух мечах», согласно которой Бог, для защиты христианства, предоставил Церкви «два меча» (две власти) - духовную и политическую, а Церковь, сохранив себе духовную власть, передала светскую монарху. Такое положение вещей способствовало тому, что Средневековая Римо-Католическая Церковь, с ее мощной централизацией, постепенно становились столпом западноевропейского феодализма, и тем самым, получала право регулировать и упорядочивать не только духовную сторону жизни своих верующих, но и влиять на ее светские аспекты. Средневековая Римо-Католическая Церковь вынуждена была вносить в свои доктрины корректировки в соответствии с требованиями тогдашнего феодального общества, постоянно модернизировать и расширять свои социальные учения, уделяя внимания вопросам социальной и экономической сферы. Со временем, социальные и хозяйствственные учения средневековой западной церкви легли в основу социальных доктрин Римо-Католической Церкви, официально принятых в 1891 году. Для целостного понимания процесса эволюции католического социального учения и его экономических составляющих, важным есть исследовать их исторический базис, что формировался на учениях двух выдающихся богословов Средневековья Августина Блаженного и Томы Аквинского.

**Состояние проблемы в научных исследованиях и публикациях:**  
В зарубежном научном мире проблема хозяйственной этики Августина Блаженного рассматривается в работе Игнаца Зайпеля, где автор изучает взгляды богослова на проблемы собственности, труда, богатства, бедности, ростовщичества и другие вопросы хозяйственной этики; статья Кейт Вард (Kate Ward) изучает идеи Августина в сфере богатства, бедности и собственности; научная публикация А.Шево в которой проводится сравнительный анализ экономически учений Августина Блаженного и Томы Аквинского.

В научном мире, в основном, поставленная проблема исследуется с позиций экономического и исторического анализа, без учета философского-религиоведческой составляющей. Также следует отметить, что большинство авторов уделяют внимание только отдельно выбранным вопросам социально-экономического характера, в работах Августина Блаженного и Томы Аквинского, что не дает возможности целостно постичь социально-хозяйственную этику средневековых богословов и сужает изучение выдвинутых ними экономических и социальных концепций.

**Задание статьи:** с позиции философии и религиоведения исследовать вопросы социально-экономического характера в работах Средневековых богослов Августина Блаженного и Томы Аквинского.

**Изложение основного материала:** Наиболее четко социально-экономические идеи Августина Блаженного раскрываются в его фундаментальной работе «О Граде Божьем». Философская парадигма этого произведения заключается в том, что история человечества представлена виде двух царств: Царства Божьего и Царства Земного. Под Градом Божиим, автор подает общность людей, которые стремятся к праведности, жизнь их построена на любви к Богу и представителями сего Града на земле есть Церковь и духовный люд. Град земной это противоположная общность людей, которые проживают лишь любовью к себе, что есть эгоизмом, а значит, грехом. Земное царство выражено в светском государстве и его институтах. Земная жизнь – это постоянная конфронтация двух обществ и тут же происходит переплетение двух градов и лишь после «последнего суда» эти грады будут разделены навечно [4, с. 51].

За словами Блаженного, земной град порождает рассадник греховности, где отсутствует какая-либо справедливость и в том числе – социальная. Августин поясняет, что истинная справедливость будет «в той республике, Основателем и Правителем которой - Христос, <...> истинная справедливость существует только в том граде, про который Писание говорит: «Слава возвышается про тебя, Град Божий» [4, с. 81]. Из заключений Августина следует, что справедливости на земле нет: ни государство, ни его светские институты не способны обеспечить людям справедливость, а без справедливости государство, по мнению богослова, есть лишь шайкой разбойников [4, с. 150]. Исходя из выше изложенного, Блаженный допускает в земном мире проявления какого-либо неравенства: деление на богатых и бедных, свободных и рабов. Кроме того, такое неравенство есть частью Божьего замысла [5, с. 79] и все деяния в земном мире зависят лишь от человека, который наделен «свободой волей» [4, с. 209] - даром Божиим, выбирать между злом и добром.

Одним и последний социального неравенства есть расслоение общества на богатых и бедных. Что касается богатства и богачей, то Августин критикует не столько само богатство, а жажду человека к обогащению [4, с. 523], «корыстолюбие, например, порок не золота, а людей» [4, с. 523]. Августин не выступает против того, чтобы верующие молились и за блага временные (земные): можно просить у Бога здоровье, почестей, детей, друзей, имущество, но просить надо так, как будто ты «путешественник», а не «постоянный собственник земного». Для большинства людей богатства несет вред, а бедность

благо, а другим – наоборот [6, с. 173-174]. В своих учениях Августин пробует примерить две антагонистические группы – бедных и богатых – говоря, что и первые, и вторые имеют общего Отца – Бога, и по его воле одни богатые, а другие – бедные, но те и другие должны идти к общей цели – Царству Божьему [6, с. 184-185]

Кроме проблемы богатства и бедности, Блаженный рассматривает и возможность перераспределения материальных ценностей от богатых к бедным через добровольное пожертвование. Милостыня, за словами Августина, есть путь «к богатству на небе» и богатый не потеряет, а наоборот обретет, если подаст бедному. Но Августин предупреждал верующих, что бы они не рассчитывали на милостыню, как на средство избавления от грехов – несколько монет не могут оправдать убийства и грабежи, а милостыня есть лишь подспорье в молитве, где просят прощения за грехи свои. Кроме этого, важным остается и то, с какими мыслями отдается милостыня нищим [7, с. 500-502].

Среди вопросов социально-экономического характера в работах Августина можно найти и его позицию касательно трудовой деятельности человека. Так в трактате «О книге бытия», Августин отмечает, что даже в раю человек занимался земледельческой работой и оную не следует воспринимать, как рабский труд, а как благородно-духовное удовольствие и занятие это – наиболее невинной для тех, кто nim занимается [8, с 510]. Таким образом богослов не делит труд человека на умственный и физический, тем самым подчеркивая, что любой труд угоден Богу. Хотя, можно предположить, что богослов более склонен возвеличивать именно физический труд. Игнац Зайпель в своем труде «Хозяйственно этические взгляды Отцов церкви» отмечал, что, высказываясь касательно труда, Августин ссылается на пример апостола Павла, который добывал себе пропитание трудом, хотя имел право на удержание за счет общества. Апостол должен был стать примером для монахов, среди которых были и те, кто избегал физического труда [9, с. 131].

Довольно сдержано высказывается Августин в своих учениях по такой проблеме, как рабство. По мнению богослова, первой причиной рабства на земле есть грех. [7, с.348] Кроме того, рабство — это проявление несправедливости, которая существует в граде земном, ибо истинная справедливость, как указывалось раньше, возможна лишь в Царстве Небесном.

Почти ускользает из августиинских учений вопрос торговли и ростовщичества. Но его пассаж в трактате «Об порядке», относительно ростовщичества, достаточно подчеркивает традиционную категоричную неприемлемость Церковью и богословом кредитных

операций. Августин пишет, что одни хотят ребенка, но не могут его родить, другие, наоборот отягощены от плодовитости жены; почему нуждается в деньгах тот, кто готовый отдавать, а какой-то паршивый ростовщик спит на мешках с деньгами? [10, с 152]. Кейт Вард, в своей статье «Porters, Catapults, Community, and Justice: Augustine on Wealth, Poverty, and Property», отмечает, что Августин знал экономические законы своего времени достаточно хорошо, но по этическим причинам не соглашался с некоторыми тенденциями. Он осуждал ростовщичество как «жестокую» и «незаконную прибыль» [11, с.60].

Следует отметить внимательное отношение богослова к проблеме собственности. Тут рассматривает проблему с двух позиций: с одной стороны, он поднимает вопрос собственности для духовенства, а с другой – для мирян. Клирики, которые возложили на себя обед жить общей с Августином духовной жизнью, должны были отказаться от любой имеющей в их распоряжении собственности, но перед этим шагом они должны были упорядочить правовые нюансы с родственниками, претендующими на данное имущество [12, с.123-127]. В.Герье также подтверждает, что пастырская деятельность Августина заставляла его осуждать частную собственность и мамону у духовников, но его полемика с манихеями, которые осуждали собственность, наоборот, вынужден был стать на защиту собственности и богослов озвучивает тезис, который не только выражает его религиозную точку зрения, но и политическую: «Не говори мне, поучает Августин в своем толковании на Евангелие от Иоанна, не говори, что мне до царя разве тебе нет дела до твоей собственности. Ибо на законе царей основано обладание собственностью. Ты сказал, что мне до царя? Тогда не называй своим твое владение, ибо ты отрекся от человеческих прав, в силу которых обладают владениями» [13, с. 121].

Фундаментальный вклад в формирование социальных доктрин Римо-Католической Церкви внес известнейший богослов Средневековья Тома Аквинский (1225-1274 гг.). Важнейшей работой богослова, считается, «Сумма теологии», где он отводит под социально-экономический вопросы отдельные главы. В «Сумме теологии» вопросы торговли, ростовщичества, десятины и т.п. отделяются от вопросов теологического характера и разбираются с значительной скрупулезнстью. Аквинат, поднимая вопросы купли-продажи, отмечает, что продавать товар дороже его реальной стоимости – грех. Договор купли-продажи между продавцом и покупателем, должен базироваться на равных условиях, а выраженная в денежной сумме цена товара не должна преобладать над «ценностью товара», под которой, богослов, скорее всего, понимал общественное

свойство товара, что определяется степенью полезности товара и объемом затрат, необходимых для его получения. Богослов писал, если стоимость превышает ценность вещи или наоборот, ценность превышает стоимость вещи, то происходит нарушение правосудности [14, с 328]. Аквинский внедряет в лексикон понятие «справедливая цена». В современной экономической теории, под «справедливой ценной», понимают цену, что состоит из экономически обоснованных растрат на производство товара и прибыли, что не должна превышать среднерыночную. Рассматривая операции купли-продажи, Аквинат также говорит и про два фактора: если руководствоваться человеческими законами, и не прибегать к шарлатанству, то законно покупать или продавать товар дороже его ценности. Но есть «Божественный Закон», который не терпит каких-либо надруганий над честностью и любое нарушение справедливого равенства в торговых операциях незаконно и греховно [14, с 328-329].

Кроме учения касательно формирования цен при торговых операциях, Аквинский, первым из богословов, поднимает проблему и дефекта товара. За словами автора «Сумы теологии», брак в товаре может классифицироваться за тремя критериями: дефект субстанционный (изменения основы вещи), когда в золото добавляют примесь лигатуры или вино разбавляют водой; дефект, связанный с использованием искаженных мер весов и дефект качества самого товара [14, с 331-332].

В контексте торговых операций Тома Аквинский высказывается и относительно прибыли получаемой от этой сделки: есть обмен «натуральный и необходимый», когда товар обменивается на необходимый товар или товар обменивается на деньги для удовлетворения личных потребностей обменщика. Другой вид обмена это – обмен «денег на деньги» или «любого товара на деньги» с целью приобретения прибыли чем и есть торговля. Богослов отмечает, что за своими свойствами и по своей природе прибыли, не есть чем-то добродетельным или необходимым, но она, сама по себе, еще не есть еще чем-то противным добродетели, так как никто не препятствует, что бы эта прибыль была использована для благих целей [14, с 337].

По мимо изучения проблемы торговли, Doctor Angelicus рассуждает и тонкостях кредитных операций. Как и его предшественники, Тома выступает категорически против предоставления денег в займы под проценты, ибо деньги придуманы как средство обмена и незаконно брать расчет деньгами за предоставленные в пользование денег [14, с 340-341]. Но Тома Аквинский вносит в проблему ростовщичества деликатный нюанс: должник может отблагодарить кредитора денежной сумой за

предоставленную ссуду, если последний не намекнул на «благодарность» через требование или молчаливое, или выраженное согласие. Также кредитор может получить компенсацию за предоставленный заем симпатией или лояльность к кредитору - тем, что нельзя измерить денежной суммой [14, с 345]. Тут же рассматривается богословом и греховность самой сути акта взятия кредита у ростовщика – брать кредит у ростовщика законно, если заемщик преследует благие цели (помочь кому-то или удовлетворить собственные потребности) [14, с 350]. Отмечает щадящее отношение к кредитным операциям со стороны Аквината в своей работе «Экономические проблемы в трудах средневековых философов» аспирант кафедры философии Балтийского федерального университета имени Иммануила Канта, А. Шево. Шево пишет, что Тома Аквинский не критиковал ростовщичество столь решительно, как это делали его предшественники. Таким образом, пишет Шево, в философской мысли в XIII века наблюдается изменения отношения к деньгам, прибыли, процента через их двойственную трактовку [15, с 23-24].

В категорию социально-экономических учений Аквинского, попадает и проблема особого вида налога - десятины. Аквинский разъясняет законность и необходимость такого налога для Церкви: обязательство отдавать десятину Церкви частично исходит из природного закона, а частично – из порядка, установленного Церковью, которая может позволить себе устанавливать иную меру и иное пожертвование. Десятину верующие могут приносить из всего, что имеют в своем распоряжении, но церковный налог воздается только духовенству. Десятина сама по себе материальна и пользоваться ею может кто угодно [14, с. 453, 456, 458].

Значительным образом отличается от предшественников воззрения Томы Аквинского на проблему частной собственности. Богослов считает, что человек обладает двумя правами – обладать вещами и перераспределять их. Исходя из такого положения дел, человеку законно обладать собственностью. На этот счет Тома наводит аргументацию: человек всегда предлагает больше усилий для приобретения своего, чем того, что общо многим или всем; дела вершатся более упорядочено, когда каждый отвечает за свое, а не когда каждый заботится обо всем сразу; ссоры возникают там, где вещи не разделены между их обладателями [14, с. 232-233].

Таким образом, выдающиеся средневековые теологи западной церкви Августин Блаженный и Тома Аквинский рассматривали в своих учениях вопросы не только религиозного характера, но и проблемы, которые попадают под социально-экономическую сферу:

богатство, бедность, труд, торговля, ростовщичество, собственность. Следует отметить, что подходы Августина и Томы к перечисленным социально - экономическим тематикам имеют отличия. Августин, в основном, базирует свое учение на библейских мотивах, не выделяя социальные или экономические аспекты из общего контекста доктрин, то Тома Аквинский, наоборот, проблемы экономического и социального характера вводит в отдельную категорию, уделяя большое внимание деталям в экономической сфере. Изучая идеи двух выдающихся западных богословов, появляется возможность лицезреть эволюцию социально-экономической мысли Римо-Католической Церкви, которая в конце XIX века, была официально оформлена в социальных доктринах католицизма.

## Література

### References:

1. Черній А.М. Релігієзнавство. Навчальний посібник/ А. Черній. – К.: Академвідав, 2003. – 351 с.
2. Шейнман М.М. Кто такие папы римские? /М.М.Шейнман – Москва: Государственное антирелигиозное издательство, 1941. – 98 с.
3. Корелин М.С. Важнейшие моменты в истории средневекового папства/М.С. Корелин - СПб.: АО «Брокгауз-Ефрон», 1901. – 159 с.
4. Аврелий Августин Блаженный. Творения: в 4 т. Т 3: О граде Божием, книги I-XIII. - СПб.: Алетейя; Киев: УЦИММ-Пресс, 1998. – 595 с.
5. Тонков Е. Н. Толкование закона в Англии: монография / Е.Н. Тонков. - Спб.: Алетейя, 2013. - 346 с
6. Садковский Д. Блаженный Августин как проповедник: историко-гомилетическое исследование/Дмитрий Садковский. – Сергиев Посад: Типография Свято-Троицкой Сергиевой лавры, 1913. – 393 с.
7. Аврелий Августин Блаженный. Творения: в 4 т. Т 4: О граде Божием, книги XIV-XXII. - СПб.: Алетейя; Киев: УЦИММ-Пресс, 1998. – 595 с.
8. Аврелий Августин. Блаженный. Творения: в 4 т. Т 2: Теологические трактаты. - СПб.: Алетейя; Киев: УЦИММ-Пресс, 2000. -751 с.
9. Seipel Ignaz. Die wirtschaftsethischen Lehren der Kirchenväter/ Ignaz Seipel. – Wien: Verlag von Mayer & Co., 1907. – 325 с.
10. Аврелий Августин. Блаженный. Творения: в 4 т. Т 1: Об истинной религии. - СПб.: Алетейя; Киев: УЦИММ-Пресс, 2000.-742 с.
11. Ward K. “Porters, Catapults, Community, and Justice: Augustine on Wealth, Poverty, and Property”/K.Ward// New Theology Review (NTR).- 2013.-№1.- C. 55-62

12. Блаженный Августин. Проповеди/ Перевод Д.Садовский, протоиерей. – Сергиев Посадъ: Свято-Троицкая Сергиева Лавра, 1913. – 227 с.
13. Герье В. Блаженный Августин/В.Герье. – Москва: Т-во «Печатная П.С.Яковлева».,1910. - 680 с.
14. Аквинский Фома. Сумма теологии. Часть II-II. Вопросы 47-122 / Фома Аквинский. - К.: Ника-Центр, 2013. - 832 с.
15. Шево А.Д. «Экономические проблемы в трудах средневековых философов» /А.Д.Шево// Актуальные проблемы гуманитарных и естественных наук. - 2016. -№12-3. – С. 21-24

**Рецензент:** Профессор Олег Шепетяк, доктор философских наук, доцент кафедры философии Историко-философского факультета Киевского университета имени Бориса Гринченко.

### დიმიტრი გონჩარენკო

ნეტარი ავგუსტინისა და თომა აქვინელის სოციალ-ეკონომიკური შეხედულებების ანალიზი რელიგიური სწავლების თვალსაზრისით  
რეზიუმე

სტატია მიზნად ისახავს გამოავლინოს სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები ნეტარი ავგუსტინისა და თომა აქვინელის დოქტრინებში, გაანალიზოს ღვთისმეტყველთა შეხედულებები სიმდიდრის, სიღარიბის, ვაჭრობის, მევახშეობისა და საკუთრების შესახებ და განიხილოს კათოლიკურ შეხედულებების რეტროსპექტივა სოციალურ და სამეურნეო სფეროში. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ნეტარი ავგუსტინისა და თომა აქვინელის სოციალური სწავლებისა და მათი ეკონომიკური მდგენელების ფილოსოფიურ - რელიგიათმცოდნეობითი კვლევა.

**საკვანძო სიტყვები:** რომაულ-კათოლიკური ეკლესია, სოციალურ-ეკონომიკური სწავლება, სიმდიდრე, სიღარიბე, ვაჭრობა, მოწყალება, საკუთრება, მევახშეობა.

**რეცენზენტი:** პროფესორი ოლეგ შეპეტიაკი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბორის გრინჩენკოს სახ. კიევის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოსოფიური ფაკულტეტის ისტორიის კათედრის დოკენტი

Dmitriy Goncharenko

**A RELIGIOUS ANALYTICAL STUDIES OF St. AUGUSTINE'S  
AND St. THOMA AQUINAS'S SOCIO-ECONOMICS VIEW**

**Summary**

The article is intended to identify socio-economic aspects in the doctrines of Augustine the Blessed and Tomas of Aquinas. Analyzes the views of theologians on issues of wealth, poverty, trade, usury, property and consider a retrospective of Catholic thought in the social and economic sphere. The purpose of the work is a philosophical and religious study of the social teachings of Augustine the Blessed and Tomas of Aquinas, and their economic components

**Keywords:** Roman Catholic Church, socio-economic teaching, wealth, poverty, trade, charity, property, usury.

**Reviewer:** Professor Oleg Shepetyak, Doctor of Philosophical Science, Docent of the Philosophical Department of the Faculty of History and Philosophy of the Borys Grinchenko Kyiv University.

## ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

ბადრი ცხადამე, ეკა ცხადამე

ნარკვევები წანარული ტოპონიმითან (ერთი გვიანფეოდალური

ტოპონიმისა და გვარსახელის (მგდ, მგდეურ)

წარმომავლობისათვის)

ჩვენი ყურადღება მიიქცია 'ქართლის ცხოვრებაში' არსებულმა უჩვეულო მგდ უხმოვნო ვარიანტით წარმოდგენილმა ტოპონიმმა და ფეოდალურმა გვარსახელმა მგდეურმა, როგორც გაირკვა, ისინი ერთი ფუძისანი არიან: მუგუთი/მუგუდი წანარების (დასავლურ ქართველური მთიელი ტომის) მეურ შერქმეული ტოპონიმია. მათი აქ სახლობის დროიდან (XII-XII სს-დან) ხოფ. მუგუდისგან წარმოქმნილა ფეოდალური გვარსახელი მგდეური: მგდეური <\_ მუგუდ=ურ> მუგუდეური \_> მგდეური, რომელშიც -ურ საწარმოებელი ბოლოსართია, ხოლო გვარის წარმოებისას ფუძისეული უ (ორივე შემთხვევაში) დაკარგულა. უ ბგერის ფონეტიკურად დაკარგვის მიზეზი ამ კუთხის მცხოვრებთა მაშინდელ მეტყველების ანარკლია, რაც საინტერესოა ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც: მუგუდ \_> \*მგუდ \_> მგდ (ქართლის ცხოვრებისეული) უხმოვნო ტოპონორმა), აქდან -ურ სუფიქსის დართვით: მგდეური, რაც ნიშნავს 'მუგუდელს', 'მუგუდის მფლობელს', 'მუგუდის მკვიდრს'. შდრ. ქვენიფნეველი, ვერძაული <- ვერძეული და მისთ.

**საკვანძო სიტყვები:** ქართლი, ქვემო ქართლი, ტოპონიმები.

ქართულ-ქართველური ფეოდალური თუ თანამედროვე გვარსახელები სასაფუძვლოდ, გამოწვლილვით და სრულყოფილად შესწავლილი არ არის. მიუხედავად მრავალი მონოგრაფიის დაწერა-გამოქვეყნებისა, და იმისაც, რომ საამისო სამეცნიერო ძალები, სწავლულ კაცთა პოტენციალი, ნებისყოფა თუ ძალისხმევა არსებობს, ჩანს, ეს მაინც შორეული პერსპექტივაა. როგორც ვიცით, სახელი უფრო ადრინდელი წარმონაქმნია, გვარი – გვიანდელი. ეს უკანასკნელი წარმოიშვა უკვე განვითარებული კლასობრივი საზოგადოების წიაღში და ამიტომ მას სოციალური განსხვავების გამოხატვაც დაეკისრა. ძველად გვარების მიხედვით განსხვავებდნენ თავადებს, აზნაურებს და დაბალ წოდებას –

გლეხობას [1, 294]. მონათმფლობელობისა და ადრეფეოდალური ხანის დროს, საფიქრებელია, გვარის ფუნქციას მეტსახელი ასრულებდა, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო გვართა ერთ წყებას. ფეოდალური გვარებიდან ეს აშვარად საგრძნობია. შდრ. გორგასალი \_ გორგასლიძე..., ხოლო კივნაძე, ვაჩნაძე ტიპის გვარსახელები მიუთითებენ, რომ ისინი წარმოშობით დაბალი წოდებისანი იყვნენ და სოციალურად შემდგომ ამაღლდნენ (კიკინა, ვაჩინა (ვაჩე+ინა)-ინა კნინობითი სუფიქსია, კნინობითი სუფიქსებიანი საკუთარი სახელები კი ფეოდალურ საქართველოში, თავადთა წრეში ძნელად წარმოსადგენია). ამრიგად, ასეთი გვარის კაცთა გააზნაურება-გათავადება გვიან ფეოდალურ ხანაში მოხდა. ზოგიერთი თავადაზნაურული თუ უაზნოუგვარსახელი თავისი სამემკვიდრეო მამულისგან ან სოფლისგან წარმოდგა (მფლობელობის ან სადაურობის აღსანიშნავად). ასეთი გვარებიც არაერთია საქართველოში (მოტივაციურად სულ სხვა წარმოშობისაა სასულიერო თუ სამოქალაქო-სამხედრო მოღვაწეობის მიხედვით წარმოქმნილი ამჟამად ლამის გვარადქცეული ან გვარს გატოლებული ზეწოდებანი: ხანცთელი, რუსთველი, თბილელი, ქუთათელი, ჯაყელი, თმოგველი..., წყნეთელი, მჭადიჯვრელი და მისთ.). არაერთი ისტორიული გვარსახელი ამ მხრივ მეცნიერთა გულისყურს მოითხოვს. ასეთ გვარსახელად გვესახება ფეოდალური საქართველოს წიაღში შობილი თავადაზნაურული გვარსახელი მგდეური.

დაისმის კითხვა: სადაურია და როგორი აღნაგობისაა ეს გვარსახელი, ფეოდალური თუ გლეხური~, რას ნიშნავს ამ გვარსახელის მგდ თუ მგდე მირი?

ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიქცია (და არა მარტო ჩვენი...) ქართლის ცხოვრების~ ერთმა მონაკვეთმა. აქ ერთ ადგილას ქართლის კუთხებად~ დასახელებულია: მგდ, ყანჩაეთი, კორინთა, სხალოსი, ფხვენისი. ნ. ბერძენიშვილი მგდ სიტყვას ასე შიფრავს: მგდ (გუდა?) [2] (სიც! ბ. ცხ.). ცხადია, კითხვის ნიშანი იმას მიგვანიშნებს, რომ მკვლევარს იმთავითვე ეეჭვებოდა ასეთი ახსნა~. ჯერ კიდევ 13 წლის წინათ ვწერდით [3, 157-158], რომ რომ მგდ'ში გუდა'ს არსებობა არასწორია, თუნდაც იმიტომ, რომ ახსნას მოითხოვს მ ელემენტი (შდრ. გუდა < მგუდა???.) მგდ უმარცვლოუხმოვნო სიტყვა სრულიად სხვა ლექსემა ჩანს. იმავე ქართლის ცხოვრებაში~ ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა ადგილმა.

კერძოდ, როცა კახთა მეფეები გიორგი მეფესთან ბრძოლა წააგო და კახეთის ციხეები 'აფხაზებმა დაიჭირეს~, ხოლო კვირიკე ამ დროს ბოჭორმაში იყო და კახეთის დატოვებასაც აპირებდა, სწორედ 'მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხდოლსელნი, სარა და გრიგოლ მმანი ფხურნელნი...~ ვფიქრობთ, ციტატის განვრძობა საჭირო აღარაა: მგდ ლექსემის ახსნას მგდეურ გვარსახელი იძლევა. როგორც ჩანს, ამ ფეოდალური გვარის მიხედვით უნდა გვქონიდა ისტორიული ტოპონიმი მგდისი, მგდეთი, მგდევი ან მგდითი, ხოლო აქაური აზნაური (რესპ. მაცხოვრებელი) იქნებოდა მგდეური (გოდერძი მგდეური, ან: მგდეველი...) მგდეურ გვარსახელში მგდე ზედსართავი სახელი არ უნდა იყოს, რომელიც ნაწარმოებია მ- - -ე ცირკულფიქსით, ისე როგორც მ-ძლ-ე (ის, ვინც ძლევს), მ-ხნ-ე (ის, ვინც მხნედ არის...). ამრიგად, მგდე'ს მნიშვნელობა იქნებოდა მგდები, ვინც აგდებს, აძევებს. თითქოს მგდეური, როგორც გვარი, შერქმეული ჩანს, რომელშიც -ურ წარმომავლობა-სადაცურობის სუფიქსია. როგორც ირკვევა, 'ქართლის ცხოვრების~ ზემონახსენებ ტექსტში მგდ მცდარი დაწერილობაა. მას უთუოდ აკლია გეოგრაფიულ სახელთა რომელიმე მაწარმოებელი (-ეთ, -ის, -ით...) და არაფერი საერთო არა აქვს გუდა და მით უფრო გუდაყვა ლექსემებთან [3], [შდრ. 2, 122-123].

ამასთან დაკავშირებით შეიძლება შევნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილის მიერ მოძიებულ და გამოცემულ მხარეთმცოდნეობითი ხასიათის მასალებში (1915 წ., ლარგვის-ახალგორის რეგიონი) მოხსენიებულია პიროვნება ქეთევან გედური. ხომ არის ეს გვარსახელი ზემოგანხილულ მგდეურის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი? შდრ.: 'ქეთევან გედური (სიც) მწე მეყავ მეუღლითურთ~. გედურ'ში უ უმარცვლოა (უბრჯვეუა!, ბ. ცხ.). (წარწერა 1797 წელს ეკუთვნის) [4, 59]. როგორც ჩანს, გედური ქეთევანის გვარია! ამრიგად, გედური < გდური < გდეური < მგდეური? თითქოს საბოლოოდ ამ გვარსახელის (მგდეური) ამოსავალ ფუძეს მივაგენით, მაგრამ ჩვენთვის ღირსსაცნობია კიდევ ერთი ტოპონიმი, რომელიც სამაჩაბლოს ('ზენასოფლის') რეგიონის კუთვნილებაა. ესაა ტოპონიმი მუგუთი // მუგუდა // მუგუდი. როგორც ჯ. გვასალია შენიშნავს, ქსნის ხეობიდან მთიულეთისაკენ მიმავალი გზა ალევის ხეობის

მიმართულებით მიდიოდა (ჩრდილოეთით მიჰყვებოდა ალევის ხევის წყალგამყოფს (საფერშეთის ქედს), შემდეგ გლუვის მთებს, მუგუდის მთებს, ნასანგრალის ქედსაც გაივლიდა. ამრიგად, მუგუდის მთები ერთ-ერთი დამაკავშირებელი რგოლია ჩრდილოეთისაკენ მიმოსვლისას [5, 44]. მუგუდა ანუ არქაული ფორმით მუგუდი 1432 წლის თირის სიგელშია მოხსენიებული. ამ სიგელში ჩამოთვლილია ის ყმა-მამული, რომლებიც მოლარეთუხუცესმა ხელა თავხელიძემ შესწირა თირის მონასტერს. ესენია: მუგუდში ყმები, ქემერტში ქემერტელიძისეული სასახლე და ნებიერიძის მამული, ჭალას ორი გლეხი, მაღნარს დვალეთს სოფელი კოშკა...~ [5, 111];

1818 წლის კამერალური აღწერით, მთლიანად მაჩაბლების მფლობელობაშია სოფლები: ჭვრივი, ტონტაბეთი, ჯავა, ქვემო ხვცე, სხლები, გვერწევი, ზავდა (მავდა?), კახირი, ახალსოფელი, ჭრია, ბარცვა, ბუზალა, კოდიბინა, გუფთა, ნინეკოვა, მორგო, ზემო ხვწე, მუგუთი, ბარგნისი, კროჟა, შამხაური, თასბანი, ჩივკინა, თლიაყანა, ქოთანთა, სოხო, მძივი, კოშკა, ელბაქიძე, თაფანა (Tapanah) ნაზღინა, ორჯუარი, ჯომაღი, სომხიანი, ბუზათი~...[5, 113]. ამრიგად, რუსთაგან დაპყრობილ ქართლში სოფელი მუგუთი, სხვა სოფლებთან ერთად, მაჩაბლებს ეკუთვნის. ე. ი. მუგუთი სამაჩაბლოა, ძველისძველი ზენასოფლის~ ძველივე სოფელი. თითქოს სათქმელს და ძირითად საკითხს გადავუხვიეთ, მაგრამ არა, მუგუთი // მუგუდა // მუგუდი სწორედ გოდერძი მგდეურს და მგდ ტოპონიმს უკავშირდება. მეტიც, გოდერძი მგდეური მუგუდელი~ თავადაზნაურია, იგი მუგუდის ერისთავია~. ამრიგად, ამ სოფლის არქაული ფორმა უნდა იყოს მუგუთი (პირველი საფეხური), მეორე მუღერი ვარიანტით მუგუდი (მეორე საფეხური), მუგუდა (მესამე საფეხური)კი სრულიად ახალი ტოპონორმა: მუგუთი \_> მუგუდი (თ ფშვინვიერი მკვეთრი ბგერის გამჟღერება) \_> მუგუდა (ბოლოკიდური -ა კნინობითობისა და ტოპოსაწარმოებელია). სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუგუდა წარმოების მიხედვით ისეთივეა, როგორც გუდაუთა, მუგუთი კი ისეთივეა, როგორც გუდაუთა, შუბუთი, უბუთი, გეგუთი და მისთ. ეს უკანასკნელი გეოგრაფიული სახელები კი დასავლეთ საქართველოს კუთვნილებაა. ვფიქრობთ, მუგუთ ტოპონიმი წარმოშობით დასავლურ ქართულია ანუ წანარული (რაზეც უთ სუფიქსი მიგვითითებს) \_ წანარების აქ ცხოვრების შედეგად

(კახეთში მიგრირებამდე) არსებული და დღემდე შერჩენილი ტოპონიმი.

შეიძლება დავასკვნათ: მუგუთი // მუგუდი წანარების (დასავლურქართველური მთიელი ტომის) მიერ შერქმეული ტოპონიმია. მათი აյ სახლობის დროიდან (XII-XII სს-დან) სოფ. მუგუდისგან წარმოქმნილა ფეოდალური გვარსახელი მგდეური: მგდეური <\_ მუგუდ=ეურ\_> მუგუდეური \_> მგდეური, რომელშიც – ეურ საწარმოებელი ბოლოსართია, ხოლო გვარის წარმოებისას ფუძისეული უ (ორივე შემთხვევაში) დაკარგულა. უ ბგერის ფონეტიკურად დაკარგვის მიზეზი ამ კუთხის მცხოვრებთა მაშინდელი მეტყველების ანარეკლია, რაც საინტერესოა ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც: მუგუდ \_> \*მგუდ \_> მგდ (ქართლის ცხოვრებისეული უხმოვნო ტოპონორმა), აქედან –ეურ სუფიქსის დართვით: მგდეური, რაც ნიშნავს მუგუდელს~, მუგუდის მფლობელს~, მუგუდის მკვიდრს~. შდრ. ქვენიფნეველი, ვერძაული <\_ ვერძეული და მისთ. ე. წ. წანარული ტოპონიმები, ეჭვი არ გვეპარება, კვლავ არაერთი იქნება სამაჩაბლოს ტოპონიმიაში, რის გამორკვევა-შესწავლას მომავალში შევეცდებით.

## ლიტერატურა

### References:

1. WumburiZe z. dedaena qarTuli, xelaxali gamocema, Tb., 1987.
2. berZeniSvili n. saqarTvelos istoriis sakiTxebi. masalebi saqarTvelos istoriuli geografiisaTvis. Tb., 1990.
3. cxadaZe b. kolxuris anu megrul-Wanuris erTi plasti dasavleT saqarTvelos (guria-aWaris) toponimiaSi. dabeWd. guria. mxaris kvleva-Ziebis Sedegebi, II. Tb., 1977.
4. Археологические экскурсии, разыскания и заметки Е. Такайшили (кутаисская губерния, Шорапанский уезд; Тифлисская губерния. Душетский уезд). Известия Кавказского отделения Императорского Московского археологического общества. выпуск 4. под редакцией Л.Г. Лопатинского и Е.С.Такайшили. Тифлис,1915.
5. gvasalia j. aRmosavleT saqarTvelos istoriuli geografiis narkvevebi, (Sida qarTli), d. musxeliSvilis redaqciiT. Tb.,1983.

**რეცენზენტი:** პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

**Badri Tskhadadze, Eka Tskhadadze,**

**SKETCHES FROM TSANAR TOPOONYMY (ON THE ORIGIN OF  
ONE LATE FEUDAL TOPOONYM AND SURNAMES (MGD,  
MGDEUR)**

### **Summary**

Toponym represented by unusual non-vowelled option **mgd** and feudal surname **Mgdeur** available in the Georgian Chronicles have drawn our attention. As it turned out, they are of one and the same root: **Muguti//Mugudi** is the toponym nicknamed by Tsanars (mountain tribe of western Georgia). Right from the time of their settlement (since XII-XII centuries) feudal surname **Mgdeuri**: **Mgdeuri** ← **Mugud=eur** → **Mugudeuri** → **Mgdeuri** is originated from Mugudi village, in which – **eur** is suffix to be derived, while **u** from the root (in both cases) was lost when deriving the surname. The reason of phonetic loss of **u** vowel is the reflexion speech of local population of that time that is also interesting from the viewpoint of historical dialectology: **mugud** → \***mgud** → **mgd** (non-vowel toponymic form taken from the Georgian Chronicles), herefrom, with attachment of –**eur** suffix is formed **Mgdeuri** that means “Mugudi resident”, “Mugudi owner”, “Mugudi habitant” (compare with Kvenipneveli, Verdzauli ← Verdzeuli and so on.

**Keywords:** Kartli, Kvemo Kartli, Toponyms.

**Reviewer:** Professor Avtandil Songhulashvili, Georgian Technical University

**Бадри Цхададзе, Эка Цхададзе,**

**ОЧЕРКИ ЦАНАРСКОЙ ТОПОНИМИИ (О ПРОИСХОЖДЕНИИ  
ОДНОГО ПОЗДНЕФЕОДАЛЬНОГО ТОПОНИМА И ИМЕН И  
ФАМИЛИЙ (МГД, МГДЕУР)**

### **Резюме**

Наше внимание привлекли имеющиеся в «Картлис Цховреба» топоним и феодальная фамилия Мгдэур, представленные в необычном безгласном варианте. Как выяснилось, они имеют один корень: мугути//мугуди – это топоним, введенный цанарами (западно-картвельское горное племя). Со времени их заселения здесь (XII-XIII вв.), от названия села Мугуди произошла феодальная фамилия Мгдэур: Мгдэур ← Мугуд=eur → Мугудэури → Мгдэури, в котором эур – производящий суффикс, а коренное «у» при образовании фамилии (в

обоих случаях) потерялось. Причина фонетической потери звука «у» - это отголосок тогдашнего говора жителей этого края, что представляет интерес с точки зрения исторической диалектики: мугуд → \*мгуд → мгд (безгласная топоформа из «Картлис ҟховребა»), отсюда, с добавлением суффикса эур: Мгдэури, что означает «мугудинец», «владелец Мугуди», «коренной житель Мугуди». Ср. Квенипневели, Вердзаули ← Вердзеули и проч.

**Ключевые слова:** Картли, Квемо Картли, топонимы.

**Рецензент:** Профессор Автандил Сонгулашвили, Грузинский Технический Университет.

## პ რ ა ქ ტ ი კ ა

მარიამ შანშიაშვილი

პოლიტიკური ტექნოლოგიები, როგორც საზოგადოების  
მანიპულაციის ერთ-ერთი ფაქტორი (მორგებული საქართველოს  
მაგალითზე)

ტერმინი "პოლიტიკური ტექნოლოგიები" ნიშნავს პოლიტიკურ  
მანიპულაციების მაღალანვითარებულ ინდუსტრიას.  
მანიპულირება ადამიანის ქცევის მართვის ტექნოლოგიაა.  
გარკვეულწილად პოლიტიკა ხალხის მანიპულირების ხელოვნებაა. პოლიტიკური მანიპულირება ხდება გარკვეული  
პოლიტიკური მიზნებისა და მისი შედეგების მისაღწევად და ეს  
არც თუ ისე ადვილია.

**საკვანძო სიტყვები:** ტექნოლოგია, პოლიტიკური ტექნოლო-  
გიები, მანიპულირება, პოლიტიკური მანიპულაცია, საზოგადოება.

ტერმინი „პოლიტიკური ტექნოლოგიები“ ნიშნავს  
პოლიტიკური მანიპულაციების მაღალანვითარებულ  
ინდუსტრიას. მანიპულაცია კი ადამიანის ქცევის მართვის  
ტექნოლოგიაა. ესაა ადამიანების აზრისა და მისწრაფებების,  
მათი განწყობისა და ფსიქიკური მდგომარეობის ფარული  
მართვა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს მანიპულაციის  
საშუალებების მფლობელისათვის სასურველი ქცევა.  
მანიპულირების ობიექტი თვლის რომ ის მოქმედებს  
თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, სინამდვილეში კი მას  
მართავენ, ხდება მისი ცნობიერებით მანიპულირება.  
მანიპულირების შედეგად ხალხის ცნობიერებაში ინერგება  
ილუზიური წარმოდგენები პოლიტიკურ ცხოვრებაზე.  
მანიპულაციური ტექნოლოგიებისთვის დამახასიათებელია  
უარის თქმა გაშლილ არგუმენტაციაზე და მისი შეცვლა  
ფსიქოლოგიური შთაგონებით, ადამიანებში სხვადასხვა  
ემოციების (შიშის, შეშფოთების, იძულების) გამოწვევით.

პოლიტიკური მანიპულაციები, რომლებსაც სხვანაირად  
პოლიტიკურ ტექნოლოგიებსაც უწოდებენ, ხელისუფლების  
განხორციელების ერთ-ერთ უძველეს საშუალებას წარმოადგენს.  
გარკვეული აზრით პოლიტიკა - ეს ადამიანებით

მანიპულირების ხელოვნებაა. პოლიტიკური მანიპულაცია ხდება გარკვეული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და მისი შედეგები ეხება, ან მთელ საზოგადოებას, ან მის რაიმე ნაწილს.

ტოტალიტარულ და ავტორიტარულ სახელმწიფოებში პოლიტიკური ტექნოლოგიებით მანიპულირება მასმედიის მოღვაწეობის დომინირებულ საშუალებას წარმოადგენს. მაგრამ ამ ტექნიკას მიმართავენ თანამედროვე დასავლური დემოკრატიებიც, განსაკუთრებით პარტიულ პროპაგანდასა და საარჩევნო კამპანიების დროს.

დღეს არცერთი საარჩევნო კამპანია არ ტარდება პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, რეკლამის გარეშე, რომელიც მაყურებელს რეალობისგან დაშორებულ წარმოდგენებს უქმნის კანდიდატის შესახებ.

პოლიტიკური მანიპულაციების განხორციელების ტექნოლოგია გულისხმობს ზემოქმედების სამ დონეს - პიროვნებათშორისს, ჯგუფურს და მასობრივს. მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედება, როგორც წესი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და პირველ რიგში ელექტრონული მედიით ხორციელდება. მასობრივ აუდიტორიაზე მიზანმიმართული ზემოქმედებისათვის კონკურეტული შედეგის მიღების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა კომუნიკაციური ტექნოლოგიები. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ტელევიზიას ენიჭება. ტელევიზიას ახასიათებს რიგი ნიშნები, რომელთა საშუალებითაც ის პრესასა და რადიოსთან შედარებით გაცილებით უფრო ეფექტურია ადამიანის ცნობიერებასა და ქვეცნობიერებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით.

ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნდობის ფაქტორი, სადაც არ არის ნდობა, იქ მანიპულირებაზე საუბარი გაგვიჭირდება.

მოსახლეობაზე და საზოგადოებაზე მძლავრი ზემოქმედების პოტენცია გააჩნია საიდუმლო, ან კონფიდენციალური ინფორმაციის გამომჟღავნებას. აღნიშნული სტერეოტიპის გამოყენება საფუძვლად ედება მანიპულატორულ ტექნოლოგიას: პოლიტიკური ინფორმაციის ნაწილს ჯერ „საიდუმლოს“ გრიფი ედება, შემდეგ კი გამიზნულად ეწყობა მისი „გაუონვა.“ ამით საზოგადოება მას სიმართლედ და განსაკუთრებით

მნიშვნელოვან ინფორმაციად მიიჩნევს. ამის ბევრი მაგალითი გვახსენდება, როდესაც ამომრჩევლები წინასაარჩევნოდ მიმართავენ ხოლმე. მაგალითისთვის მოვიყვან, თუნდაც „ცოცხების თემა-ს” საქართველოში, რამაც ხელი შეუწყო ახლანდელი მთავრობის სათავეში მოსვლას.

ერთ-ერთი ხერხი მანიპულირების ეს არის საინფორმაციო ხმაურის ატეხვა, რომელიც ხელს უშლის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მკაფიო და კრიტიკულ აღქმას. ის იძირება ცარიელი და უშინაარსო ტექსტების კონსტრუქციებში და სათანადოდ არ აღიქმება.

პოლიტიკური ტექნოლოგიებისთვის მნიშვნელოვანია ასევე ადამიანებში ხელსაყრელი განწყობის შექმნა. ინფორმაციის და პრობლემების სპეციალური შერჩევით ადამიანებს უქმნებათ ისეთი განწყობა და მოლოდინი, რაც შერჩეულ თემაზე მოსახლეობის სასურველ რეაქციას განაპირობებს. კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება ხდება გარკვეულ დროს, როდესაც რეაქცია მასზე ყველაზე ხელსაყრელი იქნება.

შევხები კიდევ მნიშვნელოვან ფაქტორს პოლიტიკური ტექნოლოგიების, რომელიც საინფორმაციო ნაკადის ტრანსფორმირების ტექნოლოგიებს მოიცავს. აქედან ყველაზე ხშირად გამოიყენება ინფორმაციის დამახინჯება, როგორც აშკარა სიცრუის ფორმით, ისე ნახევარსიმართლის გადმოცემის მეშვეობით, როდესაც აუდიტორის ნდობის მოსაპოვებლად ობიექტურად და დაწვრილებით შუქდება კონკრეტული, ნაკლებმნიშვნელოვანი დეტალები და დუმილით უვლიან გვერდს უფრო მნიშვნელოვან ფაქტებს, ანდა მოცემულია მოვლენების არასწორი ინტერპრეტაცია.

ანალოგიურ შედეგს იძლევა ისეთი ცნებების გამოყენება, რომლებიც თითქოსდა სიმართლეს ასახავენ, მაგრამ სინამდვილეში ამახინჯებენ ობიექტურ სურათს: არსებობს ლინგვისტური, ენობრივი მანიპულირების მრავალი ხერხი, რაც გულისხმობს ერთი და იმავე მოვლენების აღსანიშნავად ევფემიზმების გამოყენებას, აგრეთვე ისეთი სიტყვებისა, რომელთაც სხვა ფასულობითი ელფერი გააჩნიათ. მაგ: ადამიანს, რომელიც იარაღით ხელში იბრძვის დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად, მასმედია პოლიტიკური

განწყობის მიხედვით მას უწოდებს თავისუფლებისათვის მებრძოლს, სეპარატისტს, ტერორისტს, პარტიზანს და ა.შ.

პოლიტიკური ტექნოლოგიებსა და საზოგადოების მანიპულირებაზე როდესაც ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს PR (საზოგადოებრივი ურთიერთობები)-ის როლი. ჟესტების, არავერბალური კომუნიკაციების როლი ძალზედ დიდ გავლენას ახდენს სიტყვის სიძლიერეზე. ტონი, ინტონაცია, მახვილი სად უნდა დაგსვათ, თუ როგორ გადმოვცეთ ესა, თუ ის ინფორმაცია - ეს PR სპეციალისტების საქმიანობას წარმოადგენს.

შევცდები პოლიტიკური ტექნოლოგიების შესახებ საქართველოს მაგალითზე ვისაუბრო, თუ რა ტექნოლოგიებია აქტუალური ჩვენს საარჩევნო სისტემებში.

საქართველოში უკვე ოც წელზე მეტია, რაც სხვადასხვა დონის არჩევნები ტარდება. „ძალაუფლებაზე” მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ კანდიდატთა რაოდენობა არა თუ კლებულობს, პირიქით, იზრდება, იქმნება წინასაარჩევნო აუთიოტური და ხშირად არაჯანსაღი კონკურენცია. პოლიტიკურ ტექნოლოგიების გამოყენებაც შეინიშნება ჩვენს საარჩევნო სისტემებში. ზოგი ამ ტექნოლოგიებს „შავ და თეთრ” PR-ს უწოდებს. ამ უკანასკნელის ნაირსახეობა სხვადასხვა რაიონში, თუ ოლქში განსხვავებულია და დამოკიდებულია ამომრჩეველთა პოლიტიკური კულტურის ხარისხსა და ტიპებზე.

„შავი” საარჩევნო ტექნოლოგიები შეიძლება პირობითად დავყოთ 3 ჯგუფად:

1. საყოფაცხოვრებო
2. ადმინისტრაციული
3. P.R. ტექნოლოგიები.

საყოფაცხოვრებო ტექნოლოგიებს მიეკუთვნება:

- ორეული კანდიდატების ჩასმა „ხმების წართმევის” მიზნით. ეს ხორციელდება იმ კანდიდატების რიცხვის გაზრდით, რომლებსაც აქვთ მსგავსი მახასიათებლები, ჰყავთ თითქმის ერთი და იგივე ელექტრორატი, ანდა არიან მოსახელე და მოგვარეო კი. უფრო მომგებიანია, რომ ორეული კანდიდატები ჩასმული იყოს სიის სათავეში. როგორც ვიცით ხშირია საქართველოში არჩევნების დროს ამგვარი სიების არსებობა.

• როდესაც ამომრჩეველი წეიტრალურია, სხვადასხვა ფორმით ხდება მისი მოსყიდვა. ამ მეთოდით ძირითადად პენსიონერებთან, ინვალიდებთან და ა.შ. მუშაობები. ამომრჩევლებს ურიგებენ სასურსათო პროდუქტებს, ან სთავაზობენ უფასო სამედიცინო მომსახურეობას, უტარებენ გამოკვლევებს და ურიგებენ მედიკამენტებს.

• ხმის მიცემა ფულისთვის. კანდიდატი, ან შესაბამისი პოლიტიკური ძალა თითოეული ხმისათვის იხდის ფულს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რუსთავში განმეორებითი მაჟორიტარული არჩევნების კანდიდატის მ. ომანიძის განცხადება, რომლითაც იგი რ.მგალობლიშვილს ადანაშაულებდა საუბნო კომისიების თავმჯდომარების მოსყიდვაში. „საოლქო კომისიაში ვისაც რამდენი ხმა სჭირდებოდა, იმდენი დაუწერეს, ვინ რამდენი გადაიხადა იმის მიხედვით“. (ახალი თაობა, № 336.6 დეკემბერი, 2002წ.)

• კონკურენტების პლაკატებზე დაქირავებული აგუფების მიერ საღებავების გადასხმა, ჩამოხევა ან სხვა პლაკატების გადაკვრა. აქ შედის ყოველგვარი ვანდალური საქციელი.

ადმინისტრაციულ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება შემდეგი:

როგორც საარჩევნო კამპანიის გამოცდილებამ აჩვენა, კანონსაწინააღმდეგო მეთოდებს განსაკუთრებით ფართოდ ის კანდიდატები იყენებენ, რომლებიც სარგებლობენ სახელისუფლო რესურსებით.

ადმინისტრაციულ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება დარღვევები ტურების რაოდენობის, ოლქის საზღვრების, არჩევნების თარიღისა და შედეგების დამტკიცების წესის დადგენის დროს.

• ზოგიერთ რაიონში აღმასრულებელი ხელმძღვანელობისათვის არასასურველი კანდიდატზე უარის თქმა რეგისტრაციაში გატარებაზე.

მაგ: ბ-ნ. ა. აბაშიძის ყოფილი თანაშემწის ლ. ქიძინიძის ადვოკატის განცხადებით, მას ლ. ქიძინიძის ბათუმის მერობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებაზე საოლქო კომისიაში უარი უთხრეს, იმ მოტივით, რომ იქვე რეგისტრირებულია გ. აბაშიძე და იგი უაღტერნატივოა. (ალია, №59, 18-20 მაისი, 2002წ.)

• სახელმწიფო მოხელეების წინასაარჩევნო სააგიტაციო მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

- სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. როდესაც თანამშრომლებს პირდაპირ აიძულებენ ხმა მისცენ ამა, თუ იმ კანდიდატს. ელ მეთოდი ეფექტურად მოქმედებს ხელმძღვანელზე მაქსიმალური დამოკიდებულების პირობებში – სამხედრო მოსამსახურები და ა.შ.
- არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდა, რისთვისაც იყენებენ შემდეგ ტექნოლოგიებს:

ამომრჩეველთა სიებში საბოლოო ცვლილებების არშეტანა, ან „მკვდარი სულების” შეტანა, რომლებიც იმ ოლქში არ ცხოვრობენ, ან გამორჩება. მაგ: ერთი და იგივე კორპუსების შეტანა რამდენიმე საარჩევლო უბნის სიებში, რათა გაიზარდოს არჩევნებში მონაწილეთა პროცენტი.

- ხდება აგრეთვე საარჩევნო სიებისა და ბიულეტინების გატაცება. (მათ შორის დათვლილისაც, რათა არ მოხდეს ხელახალი გადათვლა, თუ შემაჯამებელი ოქმი გაყალბებულია.) ასევე ხდება ხმის დათვლისას სწორად შევსებული ბიულეტენების სპეციალურად გაფუჭება. საარჩევნო კომისიის ბეჭდის მოპარვა, ან გაფუჭება და ა.შ.

PR ტექნოლოგიებში შემიძლია გამოვყო შემდეგი:

„შავ“ PR-ს განეკუთვნება „კომპრომატების“ შეგროვება მეტოქეებზე და მისი ხალხში გავრცელება. კომპრომატებით ომი შესაძლოა ყველაზე მშვიდობიანია, მაგრამ ამავე დროს ყველაზე სახიფათო და დაუნდობელი. ფლობდე კომპრომატს, ნიშნავს ფლობდე ადამიანს. მაკომპრომიტირებული მასალები ჩვეულებრივ ხორციელდება არჩევნებამდე ადრე, ან არჩევნების დღეს, რათა კონკურენტს არ დაუტოვოს შანსი თავი იმართლოს ამომრჩევლების წინაშე. განსაკუთხით გავრცელდა კანდიდატების გაიგივება იმ პიროვნებებთან, ან ჯგუფებთან, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში მყარი ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს. ასევე კამპანიის მსვლელობისას ფიქსირდება კონკურენტების დადანაშაულება „სამშობლოს გაყიდვაში“, ქვეყნისათვის საწინააღმდეგო საქმიანობაში. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ინფორმაციები კანდიდატების ზღაპრული სიმდიდრეების შესახებ, რომელიც ხალხის ქონების მითვისებით შეიძინეს, ასევე ბიუჯეტის თანხების ბოროტად გამოყენების შესახებ ცნობები და ა.შ.

PR ტექნოლოგიების დროს ხდება მოწინააღმდეგებისაგან „მტრის ხატების” შექმნა, რომლის დროსაც რომელიმე პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მოსვლა ნგრევასთან და კორუფციასთან ასოცირდება. სოციოლოგების დაკვირვებით, მასიური დაძაბული ემოციური ფონის განტვირთვისათვის ხდება „მტრის ხატის”, როგორც გამართიანებელი ფაქტორის შექმნა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს მოდელი ეფექტურად გამოიყენა „მოქალაქეთა კავშირმა” 1999 წ. საპარლამენტო არჩევნების დროს ბლოკ „აღორძინების” წინააღმდეგ, „მოდის შავბნელი ძალა, რომელიც ყველაფეს მოსპობს და სამოქალაქო ომს გამოიწვევს, აღარ იქნება დემოკრატია და არც ის, რაც ჩვენ გაგვიკეთებია. ამ სტრატეგიამ გაამართლა და „ მოქალაქეთა კავშირმა” დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

პოლიტიკოსები აგრეთვე კარგად იყენებენ მოწინააღმდეგების მხრიდან უსამართლოდ შევიწროებულის და დაჩაგრულის იმიჯს, რაც მიმართულია საკუთარი პოპულარობის ასამაღლებლად. მათ რიცხვს მიეკუთვნება თავდასხმის იმიტაცია, ცრუ ინფორმაციის გავრცელება მუქარის შესახებ. კანდიდატის პოპულარობის ამაღლებაზე მუშაობს აგრეთვე „შეკვეთილი” სოციოლოგიური გამოკვლევების გამოქვეყნება, მათი შედეგების გაყალბება და ა.შ.

პოლიტიკურ ტექნოლოგიებზე საუბრისას, არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ვთქვა პოლიტიკური სპინდოქტორის საქმიანობაზე. სპინდოქტორი შეიძლება ასე განვმარტოთ, ის არის პროფესიონალი, რომელიც ფლობს საინფორმაციო სივრცეზე ზემოქმედების სხვადასხვა ტექნოლოგიებს და მისი მეშვეობით აქტიურად ზემოქმედებს მასმედიაზე. სპინდოქტორის, როგორც ახალი მედია-ფროფესიის წარმოშობის აუცილებლობა დემოკრატიულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივი აზრის ახალმა როლმა და მის ჩამოყალიბებაზე მასმედიის ზეგავლენის ზრდამ განაპირობა. იქ, სადაც სიტყვის თავისუფლება სუფეს და კანონით გამორიცხულია მედიაზე ყველანაირი ზეწოლა, თუ აკრძალვა, ბუნებრივია, ჩნდება მოთხოვნილება პრესასა, თუ ტელევიზიაზე არაფორმალური „კონტროლის” და მანიპულირების მეთოდების შემუშავებისა, რომელიც საშუალებას მისცემს პოლიტიკოსებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს თავიანთი ინტერესები დაიცვან

და გაატარონ საზოგადოებაში. დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში, ინფორმაციის კონტროლისა და მართვის სხვადასხვა ტექნოლოგიები სულ უფრო იხვეწება და პროფესიონალი იმიჯმეიკერების და პროფესიონალი სპეციალისტების ხელში მასობრივ ცნობიერებაზე მანიპულირების ეფექტურ საშუალებად იქცევა. სპინდოქტორი მათ შორის არის ახალი მედია-პროფესია, რომელიც ამუშავებს ამ ტექნოლოგიებს და მისი მეშვეობით ცდილობს სასურველი ზეგავლენა მოახდინოს საინფორმაციო სივრცეზე.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სპინდოქტორის საქმიანობა მასობრივ კომუნიკაციურ პროცესებზე ზემოქმედებაა, რომლის მუშაობის მიზანია მასმედიაზე მანიპულირებით ინფორმაციის სასურველი ინტერპრეტაციით გაშუქება და დამკვიდრება. ჩვენ რეალურ პოლიტიკურ სივრცეში გვხვდება ასეთი ინფორმაციების გამუქება ტელევიზიით, მაგალითად „რუსთავი 2"-ს ტენდენციურ არხსაც კი უწოდებენ.

შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო სივრცეში, სადაც გამორიცხულია პრესაზე ზეწოლა, სპინდოქტორი საინფორმაციო ზეგავლენის ერთერთი ლეგიტიმური საშუალებაა. საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ რაც უფრო ძლიერია დემოკრატიული პრესა, მით უფრო დიდია მოთხოვნილება ასეთი ოპონენტისა.

ასე, თუ ისე ვისაუბრე ზოგადად პოლიტიკურ ტექნოლოგიებზე, როგორც საზოგადოებაზე მანიპულირების ერთ-ერთ ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტორზე. შევეცადე დამენახებინა მისი მნიშვნელოვანი ასპექტები და როგორც მივხვდით ძალზედ რთულია მოვახდინოთ ადამიანზე, მითუმეტეს საზოგადოებაზე ისეთი ზეგავლენა როგორიც გვსურს. მარტო რთულია ამის გაკეთება, ამიტომ P.R. სპეციალისტები, მასმედიის წარმომადგენლები, იმიჯმეიკერები, სპინდოქტორის სპეციალისტები და ფსიქოლოგები დაგვეხმარებიან სასურველი მიზნის მიღწევაში.

## ლიტერატურა

### References:

- „politikuri teqnologiebi da qarTuli politikuri bazari.” saqarTvelos axalgazrda politologTa da JurnalistTa asociacia. Tbilisi 2003.

2. „socialuri cxoveli” eliot aronsoni.Tbilisi 2014.
3. politikis mecnierebis kylevis meTodebi. janet butolf jonsoni. h.t. reinoldsi. ilias saxelmwifo universiteti. 2013.
4. margaret h. salivani. „maRalprofesiuli pressamsaxuri”. cnobari. 2002.
5. suzi Suri, iris barneti, marta brauni. „megzuri masobrivi informaciis saSualebebTan muSaobisaTvis”. aSS-s sainformacio saagento. 2016.
6. sazogadoebri urTierTobis saagento „profil”. gamomcemloba „cotne”. sazogadoebasTan urTierTobis samagido enciklopedia. Tbilisi 2006
7. adamianuri resursebis menejmenti. rostom beriZe. 2011
8. kylevis meTodebi socialur mecnierebebSi. Cava frankfort-naCmeasi, devid naCmeasi. Tbilisi 2009.
9. Почепцов Г. Паблик рилейшнз для профессионалов. М., 2000.
10. Dale Carnegie. How to win Friends & Influence People. 1995.

**რეცენზენტი:** პროფესორი ვანო ჭიაურელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

**Mariam Shanshiashvili**

**POLITICAL TECHNOLOGIES, AS ONE OF THE FACTORS OF MANIPULATION OF SOCIETY (TAILORED TO THE EXAMPLE OF GEORGIA)**

**Summary**

The term "political technologies" means a highly developed industry of political manipulations. Manipulation is human behavior management technology. Political manipulations, otherwise called political technologies. In some sense, politics is art of manipulating people. Political manipulation takes place in achieving certain political goals and its consequences, or to any community or part of it.

**Keywords:** technology, political technologies, manipulation, political manipulation, society.

**Reviewer:** Professor Vano Chiaureli, Georgian Technical University.

**Мариам Шаншиашвили**

**ПОЛИТИЧЕСКИЕ ТЕХНОЛОГИИ, КАК ОДИН ИЗ ФАКТОРОВ  
МАНИПУЛЯЦИИ ОБЩЕСТВОМ (НА ПРИМЕРЕ ГРУЗИИ)**

**Резюме**

